# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 30 ივლისი, 2015 წელი.

№141 (7786)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## წინ, საქართველო!

## რობინზონ ბეგლარიშვილი – თბილისი-2015-ის პირველი ქართველი ოქროსმედალოსანი

**რობინზონ ბეგლარიშვილი ახალგაზრდული ფესტივალის ჩემპიონია. ძიუდოში 60 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალურ შეხვედრაში ქართველმა სპორტსმენმა იტალიელი მანუელ ლომბარდო ვაზარით დაამარცხა. პირველივე წუთებიდან ჩვენი ძიუდოისტის უპირატესობა ნათელი იყო. შეხვედრის მეორე წუთზე მან ვაზარი შეასრულა და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. „არ ველოდი გულშემატკივართა ასეთ თანადგომას და დიდი მადლობა მათ. კარგია, რომ პირველად ტარდება საქართველოში ასეთი მასშტაბის ღონისძიება. ძლიერი მეტოქე მყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოვახერხე გამარჯვება,“** — განაცხადა რობინზონ ბეგლარიშვილმა.



ფინალურ შეხვედრამდე ორივე სპორტსმენმა 3-3 მეტოქე დაამარცხა. ჩემპიონმა სომეხ ტიგრან ბადალიანს აზერბაიჯანელ ისმაილ იბრაჰიმოვს და ჰოლანდიელ ლარს კამპფუისს მოუგო, ხოლო ვერცხლის პრიზიორმა ავსტრიელ მარკუს ჰიზბერგერს, ფრანგ ბენჟამენ გომესს და ებრაელ ამიტ ბობოვიჩს სძლია.

რობინზონ ბეგლარიშვილმა საქართველოს დელეგაციას პირველი ოქროს მედალი მოუპოვა. იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დააჯილდოვა.

**გუშინვე მესამე საპრიზო ადგილები ბაგრატ ნინიაშვილმა (66 კგ) და ნანა ყიფშიძემ (48 კგ) დაიკავეს. ასე რომ, მასპინძელთა მონაგარი სამი დღის შემდეგ ერთ „ოქრომდე“ და 4 „ბრინჯაომდე“ გაიზარდა!**

**გიორგი შოთაძე**

## მახათას მთაზე მშენებარე ტაძარზე 21 სექტემბერს 5-მეტრიანი ჯვარი აღიმართება

**21 სექტემბერს, ღვთისმშობლის შობის დღესასწაულზე, მახათას მთაზე მშენებარე ტაძარზე 5-მეტრიანი ჯვარი აღიმართება, — განაცხადა ფონდ „ივერიისას“ ხელმძღვანელმა პაატა ბურჭულაძემ.**

ფონდის ხელმძღვანელი და წევრები დიდ ლილოში ოლეგ გელაშვილის საამქროს ეწვივნენ, სადაც მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის ჯვარი ჩამოისხმება. ადგილზე, პროცესის დათვალიერებისას, გაირკვა, რომ თითქმის დასრულებულია ჯვრის ჩამოსხმა, რომლის მასალად თავდაცვის სამინისტროს მიერ შეწირული თითბერის მასრებია გამოყენებული.



**ჯვრის სიმაღლე 5 მეტრი იქნება, წონა კი 3,5 ტონა. პაატა ბურჭულაძის განცხადებით, მანამდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მახათას მთაზე მიბრძანდება და ჯვარს აკურთხებს.** პაატა ბურჭულაძემ დასძინა, რომ ჯვარი რამდენიმე დღით ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნება დაბრძანებული და მორწმუნეებს შესაძლებლობა ექნებათ, ახლად ნაკურთხ ტაძრის ჯვარს ემთხვიონ და მოილოცონ.

**ფონდ „იავნანას“ ხელმძღვანელის თქმით, ტაძარი 2017 წლის 25 დეკემბერს ეკურთხება, უწმინდესის აღსაყდრებიდან 40 წლის იუბილეზე. ბურჭულაძე მიიჩნევს, რომ ეს ერთგვარი საჩუქარი იქნება უწმინდესისთვის.**

**როგორც ჯვრის ჩამომსხმელმა ოლეგ გელაშვილმა განაცხადა, ჯვრის ჩამოსხმის პროცესი 20 აგვისტოსთვის დასრულდება.**

## ვირეშმაკა ქვებუდანები

## ქართველი ხალხი უკვე ვირადაც მიგაჩნია, „ცრუსთავი-2“-ო?!

**ბოდიშს ვიხდი მკითხველთან ასეთი შედარებისთვის, მაგრამ იგი „ცრუსთავი-2“-ის ერთმა აკვიატებულმა „ინიციატივამ“ და, აქედან გამომდინარე, ანდაზამ გამაკეთებინა: ვირს პიტნის სუნი ეჯავრებოდა და ცხვირში ჩრიდნენო.**

ქვებუდან „ცრუსთავი-2“-ის ბოლოდროინდელ „ინიციატივაზე“ მოგახსენებთ — **გინდათ თუ არა, ჩვენი უფასო კონცერტებით უნდა გაგართოთ და გაგანათლოთო, ხალხო!**

ყველამ კარგად ვიცით, რომ დღემდე განაცმოძრაობის შხამიან ტრუბადურს „ცრუსთავი-2“-ს თავისი ეთერი იმისთვისღა უნდა, რომ ტყუილებით, მოქმედი ხელისუფლების აღვირახსნილი ლანძღვა-გინებით, ყოველივე ქართულისა და ეროვნული ტრადიციების განქიქებით და მრავალი სხვა დარდუბალით გააბრუოს ტელემაყურებელი, რომელიც უკვე, როგორც ჩანს, ვირადაც მიაჩნია!

სხვანაირად როგორ ავხსნათ მისი გამომწვევი „აკვიატება“ და ვირეშმაკობაც?

**რით ვერ გაიგეთ, ბატონებო, თქვენგან თავმობეზრებულ და თქვენი არაობიექტურობა-მიკერძოებით გაღიზიანებულ ხალხს, უკვე ვირადაც რომ მიგაჩნიათ, არ უნდა თქვენი „პიტნა“?**

**ან, თუ გგონიათ, ხალხი ვერ ხვდება, რომ ეს მისთვის კი არა, ძირითადად და სინამდვილეში იმავე ხალხის საძულველი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანულ შემადგენელ ნაწილად გინდათ გამოიყენოთ?**

გგონიათ, ხალხი მართლაც ვირია და ამ ვირეშმაკობას ვერ მიგიხვდებათ?



**და ბოლოს, თუ ხალხს მართლაც ვირად მიიჩნევ, ამ „ვირისგან“ ის დამსახურებული წიხლიც არ უნდა გეწყინოს და გაგიკვირდეს, „ცრუსთავი-2“-ო, რომელიც უთუოდ დამანგრევლად მოგხვდება!**

**აზო შელია**

## ბანკები პრეზიდენტის ვეტოს მოწინააღმდეგენი არიან 3

## მაშ, რა „აკაკანებს“ ქადაგიძე-გოცირიძის დუეტს?

**იუზა ჩაკვეტაძე**

## ვილოცოთ საქართველოზე! 12



მერანს მივუშვი სადავე,
მზე იებს ქარგავს მდელოზე,
ედემის ბაღნარს ვადარებ,
ვილოცოთ საქართველოზე.

# ახალი საწარმო ლილოში



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლილოს დასახლებაში ჩიფსების საწარმო გახსნა. ინვესტორია ჟან ფედერიკ პაულსენი, რომელმაც 4 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა. ჩიპსებისთვის ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება მოხდება. როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, პაულსენების ოჯახი მსოფლიოში ცნობილია. რაც შეეხება ჟან ფედერიკს, ღარიბაშვილის განცხადებით, ის უკვე ორი წელია თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად.**

„ეს არის ნათელი გზავნილი ინვესტორებისთვის, თუ როგორი ბიზნესგარემოა საქართველოში. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან სერიოზული სტიმულის და მაგალითის მიმცემი სხვა ბიზნესმენებისთვის და ინვესტორებისთვის. ისეთი ცნობილი ინვესტორი, როგორიც არის პაულსენი და მისი ოჯახი, არ შემოვიდოდა საქართველოში და არ განახორციელებდა ინვესტიციებს, ჩვენთან რომ ჯანსაღი ბიზნესგარემო არ იყოს. ჩემთვის, როგორც პრემიერისთვის, მნიშვნელოვანია თუ რა განწყობები აქვს ბატონ პაულსენს და ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა რას ფიქრობენ და რას საუბრობენ ოპონენტები“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

# 14 დევნილი ოჯახისთვის სახლები აშენდება

**მინისტრმა სოზარ სუბარმა 14 დევნილ ოჯახს წერილები გადასცა, რითაც დასტურდება, რომ მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საცხოვრებელ სახლებს აუშენებენ. დევნილი ოჯახებისათვის სახლების აშენების დამადასტურებელი წერილების გადაცემის ღონისძიებას სამეგრელოს გუბერნატორი ლევან შონია, აფხაზეთის მთავრობის მეთაური ვახტანგ ყოლბაია, ლტოლვილთა დანიის საბჭოს სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორი სვენდ მონრად გრაუნბოელი და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ჰუმანიტარული პროგრამების უფროსი მენეჯერი თამარ წივწივაძე დაესწრნენ.**

პროექტს დანიის ლტოლვილთა საბჭო (DRC) შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით ახორციელებს. სახლების მშენებლობა მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყება და წლის ბოლომდე დასრულდება.

აღნიშნულ პროექტში, აპლიკაციის შევსება მხოლოდ იმ დევნილ ოჯახებს შეეძლოთ, რომლებსაც საკუთრებაში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გააჩნიათ. საცხოვრებელი სახლების ფართობი ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება.

# დიდუბეში საფეხმავლო ბილიკები მოეწყო

**ახალი საფეხმავლო ბილიკების მოწყობის სამუშაოები დიდუბის რაიონში 9 მისამართზე დასრულდა. „დაზიანებული ასფალტისა და ბეტონის დემონტაჟი შემდეგ მისამართებზე განხორციელდა: დიღმის მასივის მე-2 კვარტლის მე-13 და 16-17 კორპუსების მიმდებარედ, მე-3 კვარტლის 39-ე კორპუსის მიმდებარედ, 1 კვარტლის მე-10 კორპუსის, მე-5 კვარტლის 24-25-ე კორპუსების, მე-6 კვარტლის მე-13 კორპუსის, ასევე აკ. წერეთლის გამზ №87ა-ს, სამტრედიის ქ. №4-სა და ლუბლიანას ქ. №21-ის მიმდებარედ. აღნიშნულ მისამართებზე მოეწყო ბეტონის ბორდიურები და 178 კუბური მეტრი ბეტონის საფარი დაიგო“, — აცხადებენ მერიაში.**

მათივე თქმით, საფეხმავლო ბილიკების აღდგენის სამუშაოები ასევე დასრულდა დიღმის მასივის მე-6 კვარტლის მე-13 და მე-14 კორპუსების ტერიტორიაზე.

საფეხმავლო ბილიკების მოწყობისა და აღდგენის სამუშაოები განახორციელეს კომპანიებმა „მელსანი“ და „მშენ გრუპ-11“. პროექტის საერთო ღირებულება 39 069.49 ლარია.

## თანამშრომლობა

# ახალი აბრეშუმის გზა — ეკონომიკური სარტყელი

## ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოსალოდნელი შედეგები

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის და ჩინეთის ვაჭრობის მინისტრის გადაწყვეტილებით, ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიზანშეწონილობის კვლევა ჩატარდა. მათ ხელი მოაწერეს ასევე შეთანხმებას „ახალი აბრეშუმის გზის — ეკონომიკური სარტყლის“ განვითარებისთვის თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ცენტრალურ აზიასა და მის ფარგლებს მიღმა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას აბრეშუმის გზის ძველი სავაჭრო მარშრუტის ასაღორძინებლად.**



თავისუფალი ვაჭრობის მოსალოდნელი შედეგების შესახებ კვლევა პი-ემ-სი კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა და პირველადი შედეგებიც გამოაქვეყნა. ანალიზმა აჩვენა, რომ, **საქართველოსა და ჩინეთს შორის შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, მოკლე ხანში საქართველოს საქონლის ექსპორტი ჩინეთში გაიზრდება, დაახლოებით, 9 პროცენტით, მათ შორის მნიშვნელოვნად გაიზრდება ღვინისა (28.5 %) და უალკოჰოლო სასმელების ექსპორტი (36.7). ამასთან, ჩინეთიდან საქონლის იმპორტი გაიზრდება 1.7 პროცენტით. ჩინეთიდან გაზრდილი იმპორტის 48 პროცენტი ე. წ. „ჩანაცვლების“ ეფექტზე, ხოლო 52 პროცენტი „მოთხოვნის ეფექტზე“ იქნება. მოსალოდნელია, რომ ჩინეთიდან გაზრდილი იმპორტი ძირითადად ჩაანაცვლებს იმპორტს თურქეთიდან.** აღსანიშნავია, რომ, იმპორტის გადასახადის გაუქმების შემთხვევაში, საბიუჯეტო შემოსავლები შემცირდება მაქსიმუმ 12 პროცენტით, რაც, თანხობრივად, 8 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იქნება.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, მოსალოდნელია ჩინეთიდან საქართველოში შემოსულ ინვესტიციათა ნაკადების მკვეთრი ზრდაც — განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა ფინანსური, ჰიდროენერგია, კომუნიკაცია და ინტერნეტი, სამედიცინო ინდუსტრია, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსები და ღვინის სექტორი.

ამ ეტაპზე მთლიანი სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და ჩინეთს შორის წლიურად 832 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება, **2010-2014 წლებში სავაჭრო ბრუნვა თითქმის 40 პროცენტით გაიზარდა. იმპორტი ჩინეთიდან 732,9 მლნ აშშ დოლარს უტოლდება** და ძირითადი საიმპორტო პროდუქციაა: შავი ლითონისა და ფოლადის პროდუქტები, პორტატული ციფრული გამომთვლელი მანქანები, ფეხსაცმელი, სატელეფონო აპარატები. საქართველოს ექსპორტი ჩინეთში შარშან 90.39 მლნ აშშ დოლარი იყო და ძირითადი საექსპორტო პროდუქცია სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ჯართი, ღვინო და ალკოჰოლური/არაალკოჰოლური სასმელები გახლდათ.

ამ ეტაპზე ჩინეთს 14 თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს 33 სახელმწიფოსთან (მათ შორის, ჩილესთან, ახალ ზელანდიასთან, სინგაპურთან, პაკისტანთან, პერუსთან, ისლანდიასთან, სამხრეთ კორეასთან, ავსტრალიასთან). მოლაპარაკებების პროცესშია 7 ახალი შეთანხმება 22 ქვეყანასთან.

კვლევის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმება შემდგომი მოლაპარაკებები ორ ქვეყანას შორის შეთანხმების გაფორმების შესახებ.

**ნინო ევგენიძე**

## ეკონომიკა

**უალკოჰოლო სასმელების სავალდებულო მარკირება, რომელზეც ამდენი ხანია მსჯელობენ, კიდევ ერთხელ გადაიდო. ამ სახის პროდუქციის მარკირება ქართულ ბაზარზე 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა დაწყებულიყო, თუმცა, ეს საკითხი რამდენჯერმე გადაიდო და, სავარაუდოდ, ორი თვით კიდევ გადაიწევს. ეს იმიტომ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს არაალკოჰოლური სასმელების მწარმოებლებმა პროდუქციის მარკირების ვადის გადაწევის თხოვნით მიმართეს.**

# უკვირთ, რა საჭიროა ყველაფრის ასეთი გართულება!




## მცირე და საშუალო ბიზნესი მარკირების წინააღმდეგია

მეწარმეებს არ მოსწონთ ახალი ტიპის გადასახადის შემოღება და აცხადებენ, რომ ის არა მარტო ბიზნესის, არამედ სახელმწიფოს ინტერესებსაც ეწინააღმდეგება. მარკირების წინააღმდეგია ისეთი მსხვილი კომპანია, როგორიც „კოკა-კოლაა“. ამ კომპანიის წარმომადგენელმა ვახტანგ ლაღიძემ მედიასთან საუბრისას განაცხადა, რომ აღნიშნულ ცვლილებას პროდუქციის გაძვირება მოჰყვება: „ეს რისკი არსებობს... 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. ამის გამო უნდა გავაჩეროთ ჩამომსხმელი ხაზები, უნდა დავკარგოთ საკმაოდ დიდი დრო, ენერგია, თანხა. სულ ვამბობთ, რომ 1 თეთრზეა საუბარი, მაგრამ, რეალურად, კურსის ცვლილებიდან გამომდინარე, უკვე 1,3 თეთრია.“

განსაკუთრებით აშფოთებთ მოსალოდნელი ცვლილება შედარებით მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს. როგორც შპს „ქართული წყალი და კომპანიის“ დირექტორმა მერაბ კუბლაშვილმა გვითხრა, ახალი ხარჯების დამატება ყველაზე მეტად დამწყები და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს დააზარალებს: **„ჩვენ ამჟამად საწარმოს მშენებლობის და გაფართოების პროცესში ვართ და დღე-დღეზე ვიწყებთ პროდუქციის გამოშვებას. მარკირებას დამატებითი მანქანა-დანადგარები და ხარჯები დასჭირდება. თუ კიდევ ერთი გადასახადი დაგვემატება, ეს კიდევ უფრო გაგვირთულებს საქმეს. ისედაც უამრავი გადასახადი გვაქვს, წყლის გადასახადი — ცალკე, რეგულირების გადასახადი — ცალკე, აღარაფერს ვამბობ გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფებზე. ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება. თუ მსხვილი საწარმოებისთვის არის ეს პრობლემა, ჩვენთვის ხომ უფრო სერიოზული პრობლემა იქნება? დამწყები კომპანია ვერც „ნაბეღლავს“ მიედრება, ვერც „ბორჯომს“ და ვერც — „კოკა-კოლას“, ამიტომ, მას უფრო მეტი რისკი აქვს.**

მერაბ კუბლაშვილის შეფასებით, ნოემბრამდე მცირე დროა, ამიტომაც ეჭვობს, რომ ამ ხნის განმავლობაში მარკირებისთვის სათანადოდ ვერ მოემზადებიან: „ორი თვე ბევრი არაფერია. კარგი იქნება, თუ ექვსი თვით მაინც გვადროვებენ და მარკირების შემოღებას მომავალ სეზონამდე გადადებენ. ჩვენ კომპანიის გაფართოებისთვის თანხებს ვეძებთ, ამხელა ინვესტიცია ჩავდეთ, 2012 წლიდან მშენებლობას ვეწევით, ძლივს დავამთავრეთ და ახლა დამატებითი ხარჯის გაწევა ძალიან გაგვიჭირდება. მით უმეტეს, უცხოურ ბაზრებზეც ვაპირებთ გასვლას — პროდუქციის გატანას ვიწყებთ ყაზახეთსა და თურქმენეთში, შემდეგ კი — რუსეთსა და ბელორუსში. უკრაინულ ფირმებთანაც გვაქვს მოლაპარაკებები, მაგრამ რა გადაწყდება, ჯერ არ ვიცით. ამ ყველაფერისთვის სერიოზული ფინანსები გვჭირდება. რაც შეეხება საქართველოს ბაზარს, აქ პროდუქცია მხოლოდ პოპულარულ ჰიპერმაკეტებში შეგვაქვს, თანაც, ძალიან დაბალ ფასში — მაგალითად, „ფლატე“ ქსელში 65 თეთრად იყიდება, მაგრამ ხარჯების გაწევა პროდუქციას თავისთავად გააძვირებს, განსაკუთრებით, საქართველოს ბაზარზე.“

მარკირებას არ მიესალმება უძველესი ქართული ლიმონათის საწარმო „ლაღიძის წყლები“, რომელიც 1887 წელს დაარსდა. სააქციო საზოგადოება „ლაღიძის“ გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლაღიძემ, bpn.ge-სთან საუბრისას აღნიშნა: **„არა მგონია, ეს სწორი გადაწყვეტილება იყოს. პირადად მე წინააღმდეგი ვარ მარკირების შემოღებისა. ჩვენი ფირმა თვეში 3000-5000 ბოთლზე მეტს არ ასხამს და ამ პირობებში მარკირება რა აუცილებელია? მსხვილ კომპანიებს, რომლებიც დიდი რაოდენობით პროდუქციას უშვებენ, შეიძლება არ გაუჭირდეთ, ჩვენ კი, მართლაც გაგვიჭირდება. ან რაში გვჭირდება მარკირება? - ჩვენს ნაწარმს ძირითადად რესტორნებში ვაბარებთ, მაღაზიებში არ ვყიდით იმიტომ, რომ მაღაზიაში ბოთლები გვეკარგება, ჩვენი ფირმის ბოთლი კი, საკმაოდ ძვირი ჯდება, ამიტომ, აზრი არა აქვს ჩვენთვის მის გაყიდვას, რესტრონები კი, ბოთლებს უკან გვიბრუნებენ და მათთან თანამშრომლობა გვირჩევნია“.**

კომპანია „ლაღიძის“ დირექტორიც ვარაუდობს, რომ მარკირების შემოღება უალკოჰოლო სასმელების გაძვირებას გამოიწვევს, ბუნებრივია, გაძვირდება „ლაღიძის წყლებიც“. „რა თქმა უნდა, მარკირება გაძვირებას გამოიწვევს იმიტომ, რომ ამას დამატებითი ხარჯები დასჭირდება. უკვე სამოცი წელია, ამ სფეროში ვმუშაობ და ასეთი რამ არ მახსოვს. ჩემთვის გაუგებარია, რა საჭიროა ყველაფრის ასე გართულება?! “ — კითხულობს თორნიკე ლაღიძე.

**ხათუნა ვაშალომიძე**



## ირაკლი ღარიბაშვილი:

# მიუღებელია აჟიოტაჟი, რომელიც ხელოვნურად ატეხეს ჩვენმა ე.წ. ოპონენტებმა და, სამწუხაროდ, მათ პრეზიდენტიც შეუერთდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი მიუღებელია.**

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფასთან დაკავშირებით პრეზიდენტი ვეტოს საკითხზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

პრემიერის განცხადებით, ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია, ყველაფერს, რასაც აკეთებენ, იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე. ღარიბაშვილის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით პირადად ჰქონდა საუბარი ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტთან და მისი ოფისი პირდაპირ კონტაქტზე იყო ვიცე-პრეზიდენტის ოფისთან.

**„ყველა შენიშვნა და რეკომენდაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო ევროკავშირის, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან, სრულად იქნა გათვალისწინებული. ასე რომ, მე მართლაც ვერ ვხედავ ამ აჟიოტაჟის ვერავითარ საფუძველს. პირიქით, მე ვხედავ, რომ ეს არის აბსოლუტურად ხელოვნურად ინსპირირებული, ხელოვნურად აგორებული კამპანია, რომელიც საქართველოში ბიზნესგარემოს აზიანებს, აზიანებს საინვესტიციო კლიმატს და არის ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობის საკითხი. ამ ადამიანებს აბსოლუტურად არ ესმით, რა არის სახელმწიფო და სახელმწიფოს ინტერესი, არა აქვთ გაცნობიერებული პასუხისმგებლობა, რომელიც მათ აკისრიათ საკუთარი ხალხის და ქვეყნის წინაშე. მე ვგულისხმობ ყველა იმ ადამიანს, ვინც ხელოვნურად ქმნის ასეთ აჟიოტაჟს. მე გეტყვით კიდევ ერთ მაგალითს, პოლონეთი, რომელიც ჩემთვის, ჩვენთვის და ყველა ნორმალური ადამიანისთვის სამაგალითო ქვეყანაა, პრემიერ ტუსკის პირობებში პოლონეთის ეკონომიკა გაორმაგდა და სასწაულები გააკეთეს ბოლო 7-8 წელში. სწორედ პოლონეთის საბანკო სისტემა არის სამაგალითო მთელ მსოფლიოში. პოლონეთის საბანკო სისტემაში ზედამხედველობის სააგენტო არის ცალკე. შესაბამისად, მე კითხვა მაქვს იმ ადამიანების მიმართ, თუ პოლონეთის საბანკო სისტემა არის ყველაზე საუკეთესო და ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც არის საუკეთესო, მაშინ სად არის კითხვები? თუ კითხვები იყო იმაში, რომ პროცესი იყო გაუმჭვირვალე, ეს შენიშვნები ყველაფერი გავიზიარეთ. ამ ყველაფერზე პასუხი არის მარტივი, ეს არის ხელოვნური სპეკულაციები, რომ კიდევ ერთხელ დააზიანონ ბიზნესგარემო და ინვესტორები.**

**ყველას მოვუწოდებ, დამშვიდდნენ და დაასრულონ ეს აჟიოტაჟი, ეს არის დამაზიანებელი ჩვენი ქვეყნისთვის და არა ის, რა კანონს მივიღებთ ჩვენ. ჩვენ კანონებს ვღებულობთ ჩვენი ქვეყნისთვის და არაფერს გავაკეთებთ ქვეყნის საწინააღმდეგოდ“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

### ◎ კაკალ გულში

### წკრიალოვანი ფრაზები

● **ნინო შუბლაძის დანიშვნასთან დაკავშირებით მცირე შედარებას გავაკეთებ: როგორც უმუშევრად მყოფი კარგი პროფესიონალი, 1962 წელს ადოლფ აიხმანი („SS“-ის** ობერშტურმბანფიურერი, „გამოსახლების და გადასახლების რეფერატის“ ხელმძღვანელი), გასამართლების ნაცვლად ისრაელში რომელიმე ხელმძღვანელ თანამდებობაზე რომ დაენიშნათ!!! ახლა არ მითხრათ ეგეთი მწვავე შედარებები რა მოსატანიაო. ნინო შუბლაძე იყო ნაცპროპაგანდის და ტვინების გამორეცხვის სამინისტროს ერთ-ერთი წამყვანი მუშაკი. ამიტომ ნებისმიერი შედარება მისაღებია და ნუ მომთხოვთ, რომ რომელიმე უმუშევარ ნაცზე, შვლის ნუკრის ნაამბობი დავწერო“.




● **ბებიაჩემი ნინუცა ნახევრად დამწვარ ასანთის ღერებს ისევ ასანთის ყუთში ინახავდა, ალბათ მაინც ენანებოდა ნაგავში გადასაძახებლად.**

**ეს პოლიტიკოსებიც ასეა, ყველა ნახმარი და დამწვარია, მაგრამ რატომღაც საგულდაგულოდ ვინახავთ!!!**

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

### ◎ აკვიატებული აზრი

# ბანკები პრეზიდენტის ვეტოს მოწინააღმდეგენი არიან

## მაშ, რა „აკაკანებს“ ქადაგიძე-გოცირიძის დუეტს?

**პრეზიდენტი „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონზე ვეტოს დასადებად ემზადება, ამ დროს კი ბანკები მარგველაშვილის პოზიციას არ იზიარებენ. მათი მთავარი მხარდამჭერი ორგანიზაცია — ბანკების ასოციაცია — კანონზე ვეტოს დადებას არ ეთანხმება.**





ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ცუცქირიძის აზრით, თანამშრომლობის ის ფორმა, რომელიც შედგა საბანკო სექტორსა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან, პარლამენტის დარგობრივ ეკონომიკურ კომიტეტებთან და ბიზნესომბუდსმენის აპარატთან, მისასალმებელია. ის, საბოლოო ჯამში, ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება.

**„ჩვენ დღეს გვჭირდება გაცილებით ეფექტური საბანკო სისტემა, რომლის პირობებში მონეტარული და ფინანსური ზედამხედველობა ავტონომიურ და იმავდროულად სინქრონულ რეჟიმში იმუშავებს. ასეთ შემთხვევაში, რეპუტაციის დაკარგვის რისკი კი არ გაიზრდება, პირიქით, შემცირდება, რადგან ცენტრალური ბანკი არ იქნება პირდაპირ და ერთპიროვნულად ჩართული ზედამხედველობის რეგულირებაში. დიდწილად სწორედ ამის შედეგია ეროვნული ბანკისადმი ნდობის დაკარგვა, თუნდაც სავალუტო სპეკულაციებთან დაკავშირებული აჟიოტაჟი და აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა კი არ შემცირდება, პირიქით, წმინდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანებზე გადართვით, მნიშვნელოვნად გაიზრდება ნდობის ფაქტორთან ერთად“,** — აცხადებს გიორგი ცუცქირიძე.

მისი შეფასებით, პრეზიდენტის მიერ კანონპროექტზე ვეტოს დადება და საბანკო სექტორის გაურკვეველ მდგომარეობაში დატოვება მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება.

**„ის, რომ საბანკო სექტორი არის წარმატებული, არ უნდა ნიშნავდეს თვითკმაყოფილებას. ეს უნდა იყოს განვითარების მუდმივი პროცესი. გლობალურ ბაზრებზე მიმდინარე პროცესები ჩვენც გვაიძულებს, გადავიდეთ ახალ სტანდარტებზე. ახალი მიდგომა ითვალისწინებს ნორმატიული ბაზის დახვეწას ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის, სტრეს-ტესტირებისა და ბაზრის ლიკვიდურობის რისკის განსაზღვრისათვის“,** — დასძენს ცუცქირიძე.

სებ-ის ყოფილი პრეზიდენტი, „ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძე გიორგი ცუცქირიძის განცხადებას უცნაურს უწოდებს, რომელიც, მისი თქმით, აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ეროვნული ბანკების ხელმძღვანელების, ბიზნეს-ასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათ შორის, ბანკების ასოციაციის თავდაპირველ განცხადებას.

**„მიუხედავად იმისა, რომ საუბარია იმ კანონში რაღაც ცვლილებებზე, მასში არსებითი ცვლილება არ განხორციელებულა. შეიძლება ერთადერთ დადებით მომენტად აისახოს, რომ საბჭოში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გარდა, კიდევ ერთი წარმომადგენელი იქნება, თუმცა, ეს არსებითად მის ხასიათს არ ცვლის. იქმნება ეროვნულ ბანკთან შედარებით გაცილებით დაბალი სტატუსისა და დაცულობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელზეც ზემოქმედება მთავრობისა და პოლიტიკური ძალების მხრიდან უფრო ადვილია, ვიდრე კონსტიტუციით დაცულ ეროვნულ ბანკზე“,** — განაცხადა გოცირიძემ.

ბანკების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის განცხადებას, რომ 10 დღეში კანონპროექტის ხარისხიანი და გააზრებული ალტერნატივის შემოთავაზება შეუძლებელია, გოცირიძე აბსოლუტურად უსუსურ არგუმენტს უწოდებს.

**„ის განცხადებაც, რომ ვეტოს დადება საბანკო სექტორზე ცუდად იმოქმედებს, უცანურია, ვინაიდან კანონი 10 დღით ადრე ამოქმედდება თუ 10 დღით გვიან, არსებითად არაფერს ცვლის. ჩვენ შეგვიძლია, გავაკეთოთ ერთი დასკვნა, რომ ეს თუ არის ბანკების აზრი და თუ საბანკო ასოციაცია ბანკების სურვილს გამოხატავს, ეს ნიშნავს, რომ ბანკებზე ხელისუფლებამ ზეწოლა მოახდინა. ეს არის ბანკების მხრიდან ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც სასიამოვნო იქნებოდა მთავრობისთვის და მთავრობასთან ურთიერთობების არგაფუჭებისთვის. ეს კი, საბოლოო ჯამში, სწორედ იმ შიშს ადასტურებს, რომ მთავრობას ეძლევა კომერციულ ბანკებსა და ასიათასობით მის კლიენტურაზე პირდაპირი ზემოქმედების საშუალება, რომელიც იყო ერთ-ერთი მთავარი რისკი ამ კანონის ამ ორგანიზაციის მთავრობის კონტროლის ქვეშ გადასვლის კუთხით“,** — განაცხადა გოცირიძემ.

საბანკო სფეროს სპეციალისტი გოჩა თუთბერიძე კი ფიქრობს, რომ ახალი კანონის ამოქმედებას პრეზიდენტი ხელს ვერ შეუშლის. ვეტო დაიძლევა და ვერ გამოიღებს უარყოფით შედეგს, თუმცა, კანონის ამოქმედებას ნამდვილად შეაყოვნებს.

**„პრეზიდენტი შეცდომაში საკუთარმა გუნდმა შეიყვანა, კერძოდ კი, მისმა მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში. მას აქვს აშკარად აკვიატებული აზრი, თორემ ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფას წინააღმდეგობას არ გაუწევდა.**

**მიმაჩნია, რომ კანონის ინიციატორთა მიდგომა სწორია. ერთი და იგივე პირი, ანუ ის ორგანო, რომელიც მონეტარულ პოლიტიკაზე იღებს გადაწყვეტილებას, ზედამხედველობის საკითხისგან გამიჯნული უნდა იყოს. ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სამსახური უნდა გამოიყოს. ვეტო ამ პროცესს ვერ შეაჩერებს“,** — აღნიშნა გოჩა თუთბერიძემ.

**ბექა დანელია.**

### რედაქციისგან:

**საქართველოს ეროვნული ბანკის ამჟამინდელი „კოჭლი ბატი“ (ასე უწოდებენ ამერიკაში პრეზიდენტს, ვისაც რამდენიმე თვეში ვადა გაუდის) გიორგი ქადაგიძე, გოდოს მოლოდინისა არ იყოს, პრეზიდენტის ვეტოს მოდოდინითღა არსებობს, რომელმაც თურმე მთლიანად ქვეყანა თუ არა, საბანკო სექტორი მაინც უნდა იხსნას სრული(?!) კატასტროფისგან!**

**კი, მაგრამ, ბატონო გიორგი, სანამ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად აგირჩევდნენ, თავად არ ხელმძღვანელობდით საბანკო ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც მაშინ არ შედიოდა ეროვნული ბანკის სისტემაში? დაინგრა მაშინ ამით ეროვნული ბანკი?**

**ახლა ვითომ რა მოხდება? თქვენზე ნაკლებად ეროვნული სულისკვეთების, პატიოსანი იქნება ვინმე ამ სამსახურის ხელმძღვანელი (კანონით დასაჭერი რომ იყავით, დაგავიწყდათ? იქნებ ისიც დაგავიწყდათ, 2012 წელს ტელევიზიით რომ განაცხადეთ, „ქართუ ბანკს“ „საქართველოს ბანკიდან“ შავი ფული გამოჰქონდა(?!). და იმადაც დავაკავეთ მისი საინკასატორო მანქანაო?) სჯობს, მშვიდად წახვიდეთ, სანამ მართლა არ დაგიჭერენ!**

**ან ძალიან მაგარ „ექსპერტს“, რომან გოცირიძეს, რა უნდა? ის დრო ხომ არ მოენატრა, როდესაც, მას ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისას, 18 ათასი ლარი არ ჰყოფნიდა ხელფასად და, შაბათ-კვირაობით მუშაობისთვის(?!) დამატებით 2 ათასი ლარიც გამოიწერა?**

**დაწყნარდით, ბატონებო, თქვენზე ჭკვიანებს აკეთებინეთ საქმე!**

◉ ისევ პოლიტიკური თამაშები...



# გიგი წერეთელი: „ექსნაციონალებთან ბიძინა ივანიშვილის თანამშრომლობაში გადამწყვეტი მისი ფინანსებია“

**ბიძინა ივანიშვილი ექსნაციონალებთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს. „ქართული ოცნების“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელი გოგა ხაჩიძესთან, ზურა ჯაფარიძესთან, პალიკო კუბლაშვილთან და ნაციონალებიდან წასულ სხვა დეპუტატებთან შესახვედრად მზადაა.**

**„აბსოლუტურად პოზიტიურად ვაფასებ, რომ მათ გვიან, მაგრამ გააცნობიერეს ის, რომ მათი ქვეყანა საქართველოა და არა სააკაშვილი“,** — ამბობს ივანიშვილი.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი არც მოარულ ხმებს ადასტურებს, თითქოს ნაციონალური მოძრაობიდან წასული დეპუტატები სწორედ მან დააფინანსა. უფრო მეტიც, იგი დარწმუნებულია, რომ ნაციონალები ხელისუფლებას ვერ დაიბრუნებენ და მათ არანაირი პერსპექტივა არ ექნებათ.

ამის მიუხედავად, ყოფილი ნაციონალების გადასაწყვეტია, მიიღებენ თუ არა ისინი ბიძინა ივანიშვილის შეთავაზებას. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ მათ დაფინანსების ძიებაში ცალკეული ქართველი ბიზნესმენები შეაწუხეს, თუმცა, დაფინანსება ვერ მიიღეს და ბიზნესმენებმა უარით გაისტუმრეს. ახლა კი ბიძინა ივანიშვილი თავად სთავაზობს მათ თანამშრომლობას.

სხვათა შორის, ყოფილ თანაგუნდელებთან განშორების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი ზურაბ ჯაფარიძე ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და თეთრ სახლში შეხვედრები გამართა. იმთავითვე გახმიანდა, რომ ზურაბ ჯაფარიძე ახალი ალიანსის შესაქმნელად ან რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციასთან გასაერთიანებლად დაფინანსებას ეძებდა. არც პალიკო კუბლაშვილი მალავდა, რომ ახალი პოლიტიკური გაერთიანების დაფინანსების წყარო გამჭვირვალე იქნებოდა და ირწმუნებოდა, რომ მითიური დაფინანსების წყარო მათ ჯერჯერობით არ გააჩნდათ.

**თუმცა, საინტერესოა, ამ მითიური დაფინანსების წყარომდე მიღწევას ყოფილ ნაციონალებს ხომ არ გაურთულებს მათივე დანაქადნები, რომ ისინი მეტი შემართებითა და ენერგიით აპირებდნენ ბრძოლას ქვეყანაში ოლიგარქის მმართველობის დასრულების მიზნით.**

რა დივიდენდს შესძენს ბიძინა ივანიშვილს ყოფილ ნაციონალებთან თანამშრომლობა და რამდენად მომგებიანი იქნება ნაციონალებთან მებრძოლის იმიჯის მქონე ბიძინა ივანიშვილის ეს ნაბიჯი საზოგადოების თვალში?

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის გათვლა ნამდვილად სწორია. რამდენი იქნება დაფინანსება, ან იქნება თუ არა თანხები მობილიზებული ყოფილ ნაციონალთა მიმართ, ეს სხვა საქმეა, მაგრამ მთავარია, რომ ამით ნაციონალების ფრაგმენტაცია გაგრძელდება.

**„შეიძლება, ამ ოთხეულს ფინანსური მხარდაჭერაც აღმოუჩინონ, რადგან მომავალი არჩევნებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი ეს ძალა ცალკე გამოვა, ნაციონალების ხმების რაღაც ნაწილი სწორედ აქეთკენ წამოვა. თუ ნაციონალთა კიდევ ერთი ჯგუფის, საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიის“ დამფუძნებლების — ნიკა რურუასა და გრიგოლ ვაშაძის გაერთიანებაც მოხდება და მათ ექნებათ ფინანსური უზრუნველყოფა, ეს ნიშნავს, რომ ნაცმოძრაობის ხმები მნიშვნელოვნად გაიყოფა. ანუ წმინდა ტაქტიკური თვალსაზრისით, ბიძინა ივანიშვილის განცხადება ძალზე სწორი და დროულია და ივანიშვილის მიმართვა სულაც არ ნიშნავს, რომ ნაციონალებთან თანამშრომლობა რაიმე უფრო მჭიდრო ურთიერთობაში, ან კოალიციურ სპექტრში გადაიზარდოს“,** — ამბობს ვახტანგ ძაბირაძე.

გამოდგებიან თუ არა ექსნაციონალები მესამე ძალად, პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ აქ მესამე ძალაზე საუბარი არ არის და აქ უფრო პრაგმატული გათვლებია — ნაციონალების გაყოფა ორ ჯგუფად, რაც კოალიციის ინტერესებშია.

**— თუ საქართველოს პოლიტიკური ელექტორატის კონცენტრირება უნდა მოხდეს, მათი კონცენტრირება სწორედ ბიძინა ივანიშვილის ამ დროული შეთავაზებით მოხდება. ქართული პოლიტიკისთვის ესეც საინტერესო იქნება. თუკი ორად გაიყოფა ნაცმოძრაობა, ჩათვალეთ, რომ ვღებულობთ ერთ „ქართულ ოცნებას“ და ყველა დანარჩენ მეორე ძალას. მაშინ ნაცმოძრაობას, „თავისუფალ დემოკრატებს“, „დემოკრატიულ მოძრაობას“ და ნაცმოძრაობის ამ ახალ ჯგუფს თითქმის ერთნაირი რაოდენობის ელექტორატი ეყოლება. საზოგადოება ბიძინა ივანიშვილის ამ შეთავაზებას საკმაოდ კარგად გაიგებს, რადგან ელექტორატისთვისაც მისაღები იქნება ნაცმოძრაობის ასეთი დაყოფა,** — მიიჩნევს ვ. ძაბირაძე.

ბიძინა ივანიშვილის შეთავაზების თაობაზე გოგა ხაჩიძესაც დავუკავშირდით, თუმცა, მან გვითხრა, რომ ტელეფონით ამ საკითხზე კომენტარს ვერ გააკეთებდა.

სამაგიეროდ, ტელეფონით საუბარი არ გასჭირვებია ნაციონალ გიგი წერეთელს. ის ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ მისთვის გაუგებარია, ივანიშვილისა და ექსნაციონალთა თანამშრომლობას რა მნიშვნელობა ექნება ქართული პოლიტიკისთვის. გიგი წერეთლისთვის ნათელია ის, რომ ივანიშვილი ყველა ნაბიჯს დგამს, რომელიც ნაცმოძრაობას რაღაცით დააზარალებს, მას მთავარ მტრად ჰყავს გამოცხადებული ნაციონალური მოძრაობა და ყველაზე დიდ საფრთხედ რუსეთს და სიღარიბეს კი არა, ნაცმოძრაობას მიიჩნევს.

**— ახლა უკვე ჩვენი ყოფილი თანაგუნდელების გადასაწყვეტია, შედგება თუ არა მათი რაიმე სახით თანამშრომლობა ივანიშვილთან. მე არ ვფიქრობ, რომ მათ შორის თანამშრომლობა უნდა შედგეს იმის გათვალისწინებით, რა პლატფორმითაც მოვიდნენ ჩვენი თანაგუნდელები პოლიტიკაში. გარდა ამისა, მათი ბოლოდროინდელი განცხადებაც ამას ადასტურებს, რომ მათი ბრძოლის მთავარი ადრესატი ივანიშვილი და მისი პოლიტიკური გუნდია. გასაგებია, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ასეთი შეთავაზება გააკეთა, ეს გარკვეული ჟესტია, რომ მზად არის ყოფილ ნაციონალებთან ურთიერთობისთვის. არც ის მგონია, რომ ეს თანამშრომლობა ფილოსოფიური საუბრებისთვის იყოს მიმზიდველი, ან რაიმე სხვა მიზიდულობის ძალა გააჩნდეს ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობას. რა თქმა უნდა, აქ ერთადერთი მიმზიდველობა მისი ფინანსებია“,** — დაასკვნა გიგი წერეთელმა.

მანვე განმარტა, რომ **ყოფილ თანაგუნდელებთან ამ საკითხზე არ უსაუბრია და არც აპირებს მსგავსი თემებით დაინტერესებას, რადგან ეს ექსნაციონალთა პოლიტიკური გემოვნებისა და ეთიკის საკითხია.**

**მანანა ნოზაძე**

◉ როდის აღდგება შეჩერებული დახმარება?

# ათასობით ბენეფიციარი თივის ზვინში ჩავარდნილი ნემსი ხომ არ არის?!

**ჯანდაცვის სამინისტრო სოციალური დახმარების მეთოდოლოგიას კვლავ ცვლის. ამასობაში კი სოციალურად დაუცველი პირების რაოდენობა 128 000 ადამიანით შემცირდა. სამინისტროში ხარვეზს აღიარებენ და სასწრაფოდ აღმოფხვრის პირობას დებენ.**

**სოციალური დახმარების ახალმა მეთოდოლოგიამ არ იმუშავა**

2013 წლის იანვრიდან დღემდე საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობამ 506 245-დან 377 971 მოქალაქემდე დაიკლო. **„მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა 2015 წლიდან, როდესაც ჯანდაცვის სამინისტრომ 2014 წლის დეკემბერში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის აღწერის ახალი მეთოდოლოგია შემოიღო. ამის მიზეზად ჯანდაცვის მინისტრმა სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის 10-ლარიანი დანამატის შემოღება დაასახელა. ივანიშვილის მთავრობის არასწორი ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული გაღარიბების ფონზე მთავრობამ ბავშვის 10-ლარიანი დანამატი ვეღარ შემოიღო. ახალი მეთოდოლოგიით ათიათასობით ოჯახის საარსებო შემწეობის გარეშე დატოვება კი გააგრძელა“,** — აცხადებენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები.

მათივე თქმით, 2014 წლის იანვართან შედარებით, მთავრობა თვეში 4 მლნ ლარით ნაკლებს ხარჯავს გაჭირვებულ ადამიანებზე მაშინ, როდესაც თვეში 30 მლნ ლარით არის გაზრდილი ბიუროკრატიის ხელფასის, პრემიებისა და დანამატების ოდენობა.

საქართველოში სოციალური დახმარების სისტემა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის დადგენილებით შეიცვალა. ძველი წესით, ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 57 001-ზე ნაკლები იყო, შემწეობას იღებდნენ. 1-სულიანი ოჯახისთვის ეს დახმარება 60 ლარი იყო, ხოლო ერთზე მეტსულიანი ოჯახებისთვის, ყოველ მომდევნო წევრზე — 48.

ახალი წესით კი, სარეიტინგო ქულები დაჯგუფდა. მაგალითად, იმ ოჯახებს, რომლებსაც 30 001-ზე ნაკლები ქულა აქვთ, ყოველ წევრზე 60 ლარს იღებენ, ხოლო ისინი, ვისი ქულაც 60 001-დან 65 001-მდეა, თითო წევრზე 30 ლარს.

როგორც ჩანს, ამ მეთოდმაც ვერ გაამართლა და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დახმარების მეთოდოლოგიას კვლავ ცვლის. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ აღნიშნა, სოციალური დახმარების სისტემას, რომელიც 2015 წლის მაისიდან საპილოტე რეჟიმში ამუშავდა, ხარვეზები აქვს:

**„ანალიზით დადგინდა, რომ ახალი სისტემა, უწინარესად, მარტოხელა პენსიონერების რაღაც ნაწილს აზარალებს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, შევისწავლეთ პროგრამის სუსტი წერტილები და შევიტანთ შესაბამის ცვლილებას, რომლებიც მთავრობის უახლოეს სხდომაზე განიხილება და დამტკიცების შემთხვევაში, 1 აგვისტოდან შევა ძალაში“,** — განაცხადა სოფრომაძემ.

ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივა პენსიონერებსაც ეხება. სოფრომაძის განმარტებით, გაიზრდება პენსიონერთა შეფასების კრიტერიუმი, რაც საშუალებას იძლევა, დახმარება აღუდგეს იმ პირებს, რომელთაც ეს დახმარება დროებით შეუჩერდათ. სახელმწიფო აუნაზღაურებს მათ იმ თვეების თანხებსაც, რა პერიოდშიც ეს დახმარება შეჩერებული ჰქონდათ.

ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვახტაგ მეგრელიშვილი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ამ პროგრამის მეთოდოლოგიას დრო და დრო გადახედვა სჭირდება, რადგანაც მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა იცვლება, ამის გადამოწმება კი კონტროლის ჯგუფების საქმეა.

**„არჩევნების პერიოდებში კონტროლის ჯგუფების მუშაობა გაჩერებულია ხოლმე, სწორედ ამიტომ იზრდება ბენეფიციარების რაოდენობა. შეიძლება ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე შეფასების ახალ მეთოდოლოგიაზე მუშაობდნენ, აკონტროლებდნენ ახალ ბენეფიციარებს, საიდანაც ორმოცი-ორმოცდაათი ათასი ბენეფიციარი ამოვარდა“,** — აღნიშნავს მეგრელიშვილი.

პირველ აგვისტომდე ორიოდე დღეა დარჩენილი, სოცდაუცველები კი შეჩერებული დახმარების აღდგენას ჯერ ისევ ელიან.

**ბექა მეგრელიძე**

◉ რეგიონი

## ბოლნისში წყალმომარაგება მოწესრიგდება

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და მუნიციპალური განვითარების ფონდი, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ბოლნისში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს. რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, სამუშაოების ღირებულება 4 მილიონ ლარზე მეტია. პროექტის დასრულების შემდეგ ბოლნისის მოსახლეობა დღეში 7-8-საათიანი წყალმომარაგების გრაფიკის ნაცვლად, 18-24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო. წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის შედეგად ბოლნისში მცხოვრებ 3 ათასამდე ოჯახს, კერძოდ კი 10 ათასზე მეტ ადამიანს მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდება წყლის ხარისხი. პროექტის ფარგლებში მოხდება 500 $მ^3$ მოცულობის 2 არსებული რეზერვუარის რეაბილიტაცია, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. პროექტი, რომლის ფარგლებშიც 40 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა, 2016 წელს დასრულდება.**

**ინტერპრესი**

პური ჩვენი არსობისა...



# წისქვილკომბინატები ქართულ ხორბალს ვერ (თუ არ!) იბარებენ?!

**წელს საქართველოში ხორბლის საუკეთესო მოსავალი მოვიდა. როგორც მეხორბლეები აცხადებენ, საშუალოდ, 140-150 ათასი ტონა ხორბალი მაინც აიღეს, რაც ბევრად აღემატება გასულ წლებში მოწეული მოსავლის რაოდენობას: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შარშან საქართველოში 50 ათასი ტონა ხორბალი მოიწიეს, 2013 წელს – 81 ათასი, ხოლო 2012 წელს – 80 ათასი ტონა.**

მიუხედავად კარგი მოსავლისა, ფერმერები აცხადებენ, რომ ხორბლის რეალიზაცია უჭირთ, რადგან წისქვილკომბინატები მათ ხორბალს არ იბარებენ, ამავე დროს, ისინი დაბალ ფასსაც უჩივიან: **„წელს ძალიან კარგი მოსავალი გვაქვს, მაგრამ ხორბლის ფასი ძალიან დაბალია: 1 კილოგრამი – 42-45 თეთრი, ზოგჯერ უფრო ნაკლებიც. გასულ წელს ამ დროისთვის ლარიც უფრო მყარი იყო და, შესაბამისად, ხორბალს უკეთესი ფასი ჰქონდა. მეხორბლეობას წახალისება და მხარდაჭერა სჭირდება, ყურძენს, ან მანდარინს თუ სჭირდება სუბსიდირება, ხორბალმა რა დააშავა, ეს ხომ სტრატეგიული პროდუქტია? უცხოეთის ბევრ ქვეყანაში ფერმერები სუბსიდიებით სარგებლობენ, ოღონდაც ხორბალი მოიყვანონ, ჩვენ კი, მოსავლის მოწევა ძვირი გვიჯდება, ხორბლის ფასი კი, მიზერულია, რა მოგება უნდა დაგვრჩეს, ან რა ინტერესი უნდა გვქონდეს?“** – განაცხადეს ფერმერებმა ჩვენთან საუბრისას.

**რატომ ვერ იბარებენ ხორბალს ჩვენი წისქვილკომბინატები? – ეს შეკითხვა მეხორბლეთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს ლევან სილაგავას დავუსვით.**

– წელს მართლაც კარგი მოსავალი მოვიდა. წისქვილკომბინატებმაც დაიწყეს ხორბლის მიღება, მაგრამ პროდუქციის ხარისხი საჭირო სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს. თუ ხორბალი მესამე, ან მეოთხე კლასს მიეკუთვნება, ესე იგი, ეს სასურსათო ხორბალია, რომლის მიღებაც დაუბრკოლებლად შეგვიძლია. როგორც წესი, მთელ მსოფლიოში უმაღლესი ხარისხის ხორბალი მაკარონის, ან სხვა სახის პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება, პურისთვის კი, მსოფლიო სტანდარტი არის მესამე, ან მეოთხე კლასი, თუმცა, ეს დაყოფაც პირობითია: მაგალითად, უკრაინის მეორე კლასის ხორბალი რუსეთის მესამე ხარისხს შეესაბამება. მოკლედ, ჩვენ მხოლოდ სასურსათო ხორბალს ვიბარებთ, არასასურსათო ხორბალი რომ ჩავიბაროთ, ეს ფქვილის და პურის ხარისხზეც იმოქმედებს, რაც ნამდვილად არ არის მოსაწონი და სასურველი. ამიტომ ვერ იბარებენ ჩვენი წისქვილკომბინატები ხორბალს დიდი რაოდენობით, თუმცა, შედარებით ნაკლები ხარისხის პროდუქციასაც ჰყავს თავისი კლიენტურა.

**– ფერმერები ხორბლის ფასის გამოც გამოთქვამენ უკმაყოფილებას.**

– გასაგებია, რომ მათ სურთ ხორბლის ფასი რაც შეიძლება მაღალი იყოს, მაგრამ ფასებს ჩვენ არ ვადგენთ, ამ უმნიშვნელოვანესი პროდუქტის ფასს საქართველოში იმპორტირებული ხორბლის ფასი განსაზღვრავს. მე ვფიქრობ, რომ ხორბლის ფასი დღესდღეობით ნორმალურია: 1 ტონა მეოთხე კლასის ხორბალი 450 ლარი ღირს, ანუ ერთი კილოგრამი – 45 თეთრი, რაც შეეხება მესამე კლასის პროდუქციას, ის 50 თეთრიც კი ღირს. მე ვფიქრობ, რომ ეს ნორმალური ფასია. ჩვენი გათვლებით, მესამე და მეოთხე კლასის ხორბალი მთლიანი მოსავლის 20-25 პროცენტს შეადგენს, მეტს – არა.

**– შედარებით დაბალი ხარისხის ხორბალს რა ბედი ეწევა?**

– ასეთ პროდუქციას იბარებენ სპირტის ქარხნები, ასევე – მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებსაც დაბალი ხარისხის ხორბლის ჩაბარება თავისუფლად შეუძლიათ. თუმცა, ასეთი ხორბლის ფასი, შესაბამისად, ნაკლებია. ჩვენმა წისქვილკომბინატებმა სადღაც 15 ათას ტონამდე ხორბალი უკვე ჩაიბარეს, თუმცა, ფერმერების ნაწილს ახლავე არ სჭირდება ფული, ისინი ამჯობინებენ ფასის მომატებას დაელოდონ და თავიანთი მოსავალი შესანახად წისქვილკომბინატებში მიიტანონ. ამ სერვისში თვეში 3-4 დოლარის გადახდა უწევთ (1 ტონა ხორბლის შენახვაში). ფერმერებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ – თუ უნდათ ახლავე გაყიდიან თავიანთ მოსავალს, თუ უნდათ – შეინახავენ და შედარებით კარგ სეზონს დაელოდებიან.

**– როგორ შეიძლება ქართული ხორბლის ხარისხის გაუმჯობესება?**

– უნდა გითხრათ, რომ ზოგადად ყველა ქვეყანაშია ასეა: მიღებული ხორბლის მხოლოდ 20-40 პროცენტამდეა სასურსათო, ასეა უკრაინასა და რუსეთშიც. არსად ხდება, რომ სასურსათო ხორბალი მოსავლის უმეტეს ნაწილს შეადგენდეს, ზოგადად, ხორბლის მოსავალში არასასურსათო ხორბალი უფრო მეტია, ვიდრე – სასურსათო. თუმცა, ხარისხის ასამაღლებლად ფერმერებმა უნდა იცოდნენ, რომელ რაიონში რა ტიპის ნიადაგია და როგორი თესლი უნდა შეიტანონ. სხვათა შორის, ეს მიმართულება დღეს საქართველოში ძალიან გამოცოცხლდა და არაერთი სათესლე მეურნეობა ამუშავდა. მათ შორისაა „ლომთაგორა“, სადაც სხვადასხვა სახეობის ისეთი თესლი გამოჰყავთ, რომელიც ქართულ ნიადაგს მიესადაგება.

**– დაახლოებით რა რაოდენობის ხორბლის მოსავლის მიღება შეუძლიათ საქართველოში მოქმედ წისქვილკომბინატებს?**

– ჩვენ ნებისმიერი რაოდენობის მოსავლის ჩაბარება შეგვიძლია. საქართველოს საშუალოდ, ყოველთვიურად 40-50 ათასამდე ტონა ხორბალი სჭირდება, ერთი ამდენი დასაწყობებული უნდა იყოს, რომ საჭირო მარაგი გვქონდეს. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია მივიღოთ და ავითვისოთ დახლოებით 100-200 ათასი ტონა ხორბალი, ოღონდ ის კარგი და ხარისხიანი უნდა იყოს. ჩვენთვის უკეთესიცაა ადგილობრივი ხორბალი შევისყიდოთ, ვიდრე უცხოეთიდან შემოვიტანოთ – ტრანსპორტირების ხარჯი მაინც მოგვაკლდება. ხორბლის უცხოეთიდან შემოტანა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და რა, თქმა უნდა, გვირჩევნია აქვე, საქართველოში შევიძინოთ. ამას არც იმხელა ფინანსური რესურსი სჭირდება და არც – დრო. სულ ცოტა, 2-3 კვირა მაინც ტრანსპორტირებაზე გვეხარჯება. ამიტომ, ჩვენთვის ყველანაირად მომგებიანია ადგილობრივი, ქართული ხორბალი შევისყიდოთ და თუ ქართული ხორბალი კარგი ხარისხისა იქნება, ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს.

ესაუბრა
**ხათუნა ჩიგოგიძე**

ახალი ნავსადგური

# ანაკლია – ლაზიკის მონაცვლე

**საზღვაო-სატვირთო გადაზიდვები მთელ მსოფლიოში წლიდან წლამდე სულ უფრო ინტენსიური ხდება, ზღვებითა და ოკეანეებით საქონლის გადაზიდვა ახლა უწინდელზე გაცილებით აქტიურად ხორციელდება. ამ მხრივ სწრაფი ტემპებით იზრდება ტვირთბრუნვა შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, ამდენად, ყოველი ახალი დიდი, თანამედროვე ლოჯისტიკური ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნავსადგურის გაჩენა რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს უფრო მეტად გააააქტიურებს.**

როგორც ცნობილია, ფოთში დიდი სატვირთო ნავსადგური საქართველოს ახლო მომავალში ექნება, ახლა კი ლაპარაკია ასეთივე ღრმაწყლიანი ნავსადგურის ანაკლიაში აშენებაზე. ამ პროექტის განმახორციელებელი კომპანია უახლოესი კვირების მანძილზე გამოვლინდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **გიორგი კვირიკაშვილის** განცხადებით, ინტერესთა გამოხატვის პროცედურა კარგა ხანია გამოცხადებულია, რის შედეგადაც ეგრეთ წოდებულ „მოკლე სიაში“ შვიდიდან ორი საერთაშორისო კონსორციუმია გადასული. მათში გამარჯვებული უახლოეს მომავალში გამოცხადდება, თავად პროექტის განხორციელება კი ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2016 წლის ზაფხულში დაიწყება.



**– ანაკლიაში ახალი სატვირთო ნავსადგურის აშენება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პროექტია, – განაცხადა ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა. – მისი განხორციელების შედეგად საგრძნობლად შეიცვლება მთელი ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სატრანზიტო დერეფნის პოტენციალი. პროექტის განხორციელების პროცესში რამდენიმე ათასი კაცი დასაქმდება არა მარტო სამეგრელოში, არამედ მიმდებარე რეგიონებშიც. ეს ის პროექტია, რომლის განხორციელება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში,** – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

მისი თქმით, სადღეისოდ ანაკლიის სატვირთო ნავსადგურის პროექტის მასშტაბი საგრძნობლადაა შეცვლილი. მასში გათვალისწინებულია ასევე ქვეყნის სატრანზიტო დერეფნის პოტენციალი, კერძოდ, ეკონომიკურად ისეთი ძლიერი ქვეყნის ინტერესები, როგორიცაა ჩინეთი. ანაკლიის განვითარების პირველი ეტაპია საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობის გაორმაგება, ხოლო მომდევნო სამი ეტაპის განხორციელების შემდეგ, ქვეყნის გავლით წელიწადში მთლიანად 20 მილიონი ტვირთის გადატანა იქნება შესაძლებელი. ამ მიზნის ფრთაშესასხმელად დაინტერესებული საერთაშორისო კომპანიები შესაბამის კვლევებს ჩაატარებენ და, დადებითი დასკვნის შემთხვევაში, ინვესტორი კომპანია ვალდებული იქნება პროექტი კიდევ უფრო მასშტაბური გახადოს. ამის თაობაზე პირდაპირი მოლაპარაკებები ამჟამადაც მიმდინარეობს, ისინი 7 სექტემბერს დასრულდება, გამარჯვებული კონსორციუმი კი 21 სექტემბერს დადგინდება.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პროექტი ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია. ანაკლიაში ახალი სატვირთო ნავსადგურის მომავალ მშენებლობასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ არსებული კონცეფციით მისი აშენება საქართველოს ევრაზიული ლოჯისტიკურ ჰაბად გარდაქმნის აუცილებელი წინაპირობაა. მისი თქმით, წინა წლებში დაგეგმილი ლაზიკის ნავსადგური ნაკლებ ტვირთბრუნვაზე იყო გათვლილი და არც შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდა.

**– ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალისა და ახალი გეოგრაფიული რეალობიდან გამომდინარე წარმოქმნილი შესაძლებლობების კომპლექსური ანალიზი,** – აღნიშნა ბატონმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**. – ახალი ნავსადგურის მშენებლობისთვის ყველაზე ოპტიმალური ადგილმდებარეობის შესარჩევად დეტალური ანალიზი ჩატარდა. მისი შედეგების გათვალისწინებით მივიღეთ გადაწყვეტილება ბევრად დიდი გამტარუნარიანობის ნავსადგურის აშენების თაობაზე.

ჩვენი მიზანია არა მარტო რეგიონის ქვეყნების ბაზრებიდან, არამედ ჩინეთიდან ტვირთების მოზიდვა, მით უმეტეს, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ამის საუცხოო შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნაა დაგეგმილი, რაც ხელს შეუწყობს ლოჯისტიკური ბიზნესისა და ინდუსტრიული კლასტერის ჩამოყალიბებას, – დასძინა პრემიერმა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ნოვაცია

# სიახლე სოფლის მეურნეობაში

**სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ხეხილის ნაყოფსაბერტყი და შემგროვებელი ახალი აგრეგატი გამოსცადეს.**

**ხეხილოვანი და კაკლოვანი კულტურების ნაყოფების საბერტყი და შემგროვებელი კონსტრუქციის მექანიზებული მოწყობილობები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის თანამშრომლების მიერ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ნუგზარ ებანოიძის ხელმძღვანელობით დამუშავდა. აღნიშნული კონსტრუქციების დააგრეგატება შესაძლებელია მცირე სიმძლავრის მოტობლოკზე ან თვითმავალ შასიზე. აგრეგატის უპირატესობა, სხვა ანალოგებთან შედარებით, კონსტრუქციის სიმარტივე და ენერგიის ნაკლები ხარჯია, გარდა ამისა, მანქანა არ ახდენს მცენარის ფესვთა სისტემის დაზიანებას. თვითმავალ შასიზე დააგრეგატების შემთხვევაში, კონსტრუქციას აღებული მოსავლის ყუთების გადაზიდვაც შეუძლია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მისი გამოყენების ეფექტიანობას. სამეცნიერო ცენტრმა მანქანა წილკნისა და ჯილაურის საცდელ ექსპერიმენტულ ბაზებზე გამოსცადა. ამჟამად მიმდინარეობს მანქანის კონსტრუქციის სრულყოფა. სამომავლოდ ხეხილის ნაყოფსაბერტყი და შემგროვებელი აგრეგატის ქარხნული წესით დამზადება იგეგმება.**

ინტერპრესი

# ქარაფშუტების ქვეყანა

## თუნდაც ყირგიზული მაგალითი გავითვალისწინოთ!

**პატივცემულო მკითხველო, აზიმჟან ასკაროვის სახელი და გვარი გეუბნებათ რამეს? ეს სახელი და გვარი არათუ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისთვის არის უცნობი, არამედ ყოფილი საბჭოთა სივრცისთვის, მითუმეტეს აშშ-ის მოსახლეობისთვის.**

აი, რაც შეეხება მის სამშობლო ყირგიზეთს, აზიმჟან ასკაროვს ზედმიწევნით კარგად იცნობენ და თანაც უაღრესად ნეგატიური კუთხით. ეს პიროვნება გასამართლებულია ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივების, სამართალდამცველის მკვლელობის გამო და სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

მერე რა, რომ აზიმჟანს ამერიკა არ იცნობს, მთავარია, გარკვეული ამერიკული წრეები იცნობდეს მას, რათა სხვაგვარად, ანუ სათავისოდ გამოიყენოს ის. ამისთვის კი საჭიროა PR-ი, ტერორისტისა და მკვლელის გაგმირება და „გმირის" ყირგიზეთის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყენება. ყირგიზეთი კი ისე, როგორც საქართველო, უკრაინა, მოლდოვა ხომ „ფერადი რევოლუციების" თავისებური პოლიგონია? ამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ისეთ საყოველთაო-სახალხო დუღილს, სახელმწიფო გადატრიალებებს ჰქონდა ადგილი, ბევრი ბობოქარი ქვეყანა რომ შურის თვალით უმზერდა.

სახალხო გამოსვლების უკან მუდამ და ყველგან მდგომი დიდი ქვეყანა იყო, საქართველო რომ „სტრატეგიულ პარტნიორად" მიიჩნევს. თუმცა, რატომ მარტო საქართველო, თვით ყირგიზეთიც ხომ ასე მოიხსენიებდა ოკეანისგადაღმელს?

მოიხსენიებდა გუშინ, მაგრამ არა დღეს. ორ „სტრატეგიულ პარტნიორს" შორის „შავმა" აზიმჟან ასკაროვმა გაირბინა. გაირბინა და ურთიერთობაც გაწყდა, ცალმხრივად, ყირგიზეთის მთავრობის გადაწყვეტილებით. არადა, ამერიკა-ყირგიზეთს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას 20 წლის ისტორია აქვს. ვაშინგტონისთვის ყირგიზეთის „ძმობა" გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ბევრს ნიშნავს, განსაკუთრებით ავღანეთის ომიდან გამომდინარე.

ყირგიზეთის სატრანზიტო მნიშვნელობა ფასდაუდებელია აშშ-სთვის. მარტო „მანასის" აეროპორტი რად ღირს. ამ საჰაერო პორტთან დაკავშირებით, ორთა შორის გამართული კამათი ყირგიზთა სასარგებლოდ დასრულდა. მან მოახერხა პენტაგონისგან „მანასის" გამოგლეჯა და სამხედროდან სამოქალაქოზე გადაკეთება. ამერიკელთა გულდასაწყვეტად, „მანასის" აეროპორტის დანიშნულების შეცვლა არ გამოდგა ფორმალური. მან დიდი დაღი დაასვა პენტაგონის ზრახვებს და აიძულა, დამორჩილებოდა ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნებს. ყირგიზეთმა უარი თქვა აშშ-დან შეთავაზებულ დოლარებზეც.

„მანასის" აეროპორტს დღესაც იყენებენ ამერიკელი სამხედროები, თუმცა, არა ისე ინტენსიურად, როგორც წინათ. ბოლო დროს გახშირდა უკრაინიდან ჩაფრენილი თვითმფრინავებით აშშ-ის საელჩოსთვის განკუთვნილი ტონობით ტვირთის ჩატანა ბიშკეკში. ტვირთი არ ექვემდებარება საბაჟო შემოწმებას, ვინაიდან დიპლომატიურ ტვირთად საღდება. ასეთს კი, ვენის 1961 წლის კონვენცია – დიპლომატიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, იცავს.

დიპლომატიურ ფოსტას ამოფარებულმა ვაშინგტონმა, უკრაინაში აშშ-ის საელჩოს ასობით მსგავსი კონტეინერი ჩაუტანა, რომელმაც ნულანდის ფუნთუშებთან ერთად „მაიდნის" რევოლუცია განახორციელა. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ ყირგიზეთში ვაშინგტონმა ელჩად ჩვენთვის კარგად ცნობილი დიპლომატი რიჩარდ მაილსი აფრინა, რომელსაც „ფერადი რევოლუციების" გროსმეისტერად მიიჩნევენ, მომავალი ყირგიზული რევოლუციის „კერძი", მოგიზგიზე ამერიკულ ღუმელშია და საცაა მზად იქნება.

აშშ ნამდვილად არ არის ის ქვეყანა, რომელიც პატარა გამოხდომასაც ვინმეს აპატიებს. მას ჯერაც ვერ მოუნელებია განვლილი ორი რევოლუციის მარცხი, „მანასის" აეროპორტის დაკარგვა და, რაც მთავარია, სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ყირგიზეთის დაკარგვა. ყირგიზეთმა უარი თქვა დასავლურ გზაზე და ნაცად, ისტორიულად გამოცდილ ორიენტაციას დაუბრუნდა – მას ევრაზიული კავშირის წევრობა ჰქვია. და არა მარტო ევრაზიულის, არამედ „შოსის", სადაც თავმოყრილია ისეთი გიგანტები, როგორებიცაა ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, პაკისტანი, სხვები.

ასეთ კავშირებში თავშეყოფილი ყირგიზეთისთვის სულაც არ იყო ძნელი აშშ-ის 20-წლიანი ხელშეკრულების ცალმხრივი დენონსაცია. მიზეზიც უმალ გამოიძებნა. აშშ-ის „ბრძნული" გადაწყვეტილებიდან გამომდინარე – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრემია „ადამიანის უფლებების დარგში", რომელიც მიეცა ზემომოხსენიებულ კაცისმკვლელ აზიმჟან ასკაროვს.

აშშ-ის პოლიტიკა ნამდვილად არ ელოდა ესოდენ მძაფრ ყირგიზულ დემარშს, რის გამოც მან სინანული გამოთქვა. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყირგიზულმა დემარშმა ვაშინგტონი ვერ გამოაფხიზლა. ანდა ერთმა დემარშმა როგორ უნდა გამოაფხიზლოს ათეული წლების განმავლობაში წარმოებული მზაკვრული პოლიტიკა?

დარწმუნებული ვარ, სოფლის ორღობის თვითმარქვია ჟურნალისტი ეკა კვესიტაძე, ბატონი მიხეილის ასული და რაც მთავარია თავგადაკლული ამერიკელი, ჩემს ნაამბობს ყირგიზეთთან და აზიმჟან ასკაროვთან დაკავშირებით სხვაგვარად წარმოსახავს – ყირგიზეთის ხელისუფლებას შავ ფერებში, რუსეთთან ჩახუტების გამო, ასკაროვს – ქათქათა თეთრ ფერებში, როგორც მშვიდობისთვის და თავისუფლებისთვის „მებრძოლს", ხოლო აშშ-ის – დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელსაც სინათლე შეაქვს პოსტსაბჭოთა სიბნელეში.

აშშ-ის პოლიტიკის მარტო ეს მაგალითი კმარა ანტიამერიკული განწყობის შესაქმნელად. აშშ-ის მოსახლეობის 99 პროცენტმა სულაც არ იცის, ვინ არის ასკაროვი. რომ გაიგებს საიდან არის, დიდხანს აზრზე ვერ მოვა, ვინაიდან ასეთი დასახელების ქვეყანა მისთვის უცნობია, ისე, როგორც ნებისმიერი ქართველისთვის აფრიკული სახელმწიფო ბოტსვანა.



მით უმეტეს ვერ გაიგებს, რატომ დააჯილდოვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ყირგიზი ასკაროვი ესოდენ საპატიო პრემიით, თუმცა, ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებები ჩვეულებად აქვს ქცეული აშშ-ის ადმინისტრაციას. ასე იყო ბუშ-უმცროსის დროს საყოველთაო მოსმენების დაკანონებასთან დაკავშირებით, ასეა ობამას დროსაც, როდესაც ხალხის უკითხავად (რეფერენდუმის გარეშე) დაკანონდა ერთსქესიანთა ქორწინება.

აშშ ის ქვეყანაა, რომელიც რეციდივისტს გმირად აქცევს, ხოლო შლეგს – „დემოკრატიის შუქურას" უწოდებს და არა მარტო უწოდებს, ყოველმხრივ ხელს შეუწყობს სხვა ქვეყანაში წინსვლისთვის. ორივე შემთხვევაში დანაშაულის ტრფიალთან გვაქვს საქმე. ასკაროვი დამნაშავეა ისე, როგორც მიხეილ სააკაშვილი. მართალია, პირველი მომავლის „გმირია" – ამერიკელთა გათვლით, მეორე კი – რა ხანია „გმირია და გმირი".

> **ვიძახოთ ჩვენ რეციდივისტი, ძებნილი, შერეკილი... არაფერი გამოვა, ვიდრე ისეთ ნაბიჯს არ გადავდგამთ, როგორიც ბიშკეკმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთს დაგვმართებს „სტრატეგიული პარტნიორი", დღევანდელობა სანატრელი გაგვიხდება. კვესიტაძეები და მათი და-ძმანი ისეთს დაატრიალებენ, დარჩენილი საქართველოც გუდა-ნაბადს აიკრეფს და სამშობლოდან სამუდამოდ გადაიხვეწება, „რუსეთუმეს იარლიყით" დამშვენებული.**

შე დალოცვილო, „პირველო ქვეყანავ!" – რაღა მაინცდამაინც რეციდივისტებს აგოგმანებ. პატიოსანი და სამშობლოს პატრიოტი მიუღებელია თქვენთვის?! მაგრამ სამშობლოს პატრიოტი, მითუმეტეს ნაპრეზიდენტალი, სხვა ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში ჩადგება? ამიტომაც, გადაქანებული „მაიკლი" მისწრებაა ვაშინგტონისთვის.

ბალტიისპირა ქვეყნებში დაწყებული საკადრო ექსპერიმენტი, ამჯერად უკრაინაში გაგრძელებული და მოლდოვაში გამოვლენილი, ისეთივეა, როგორც ფეხბურთში – ლეგიონერობა. თუ ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელობა უცხოელმა შეიძლება ჩაიბაროს, რატომ არ შეიძლება ქვეყნის მართვის საჭე უცხოელს ჰქონდეს, მითუმეტეს, თუ ეს უცხოელი ამერიკულად აზროვნებს?

აშშ-ის ადმინისტრაციამ ოდესის ოლქის გუბერნატორად სააკაშვილი დანიშნა და ისეთი უფლებებით აღჭურვა, პრეზიდენტ პოროშენკოსაც რომ შეშურდება. სულ ახლახან, სახელმწიფო დეპარტამენტმა მასთან (სააკაშვილთან, როგორც ოდესის ოლქის გუბერნატორთან) თანამშრომლობის ხელშეკრულებაც გააფორმა, დაახლოებით ისეთი, სუვერენულ სახელმწიფოსთან რომ აფორმებენ. რას ნიშნავს ეს? თუ რუსეთისთვის დონეცკთან და ლუგანსკთან სამთავრობო ურთიერთობა არ შეიძლება (ცნობისთვის, კრემლს არავითარი ოფიციალური ხელშეკრულება არ გაუფორმებია ამ ორთან), რატომ შეიძლება ამერიკა-ოდესის ხელშეკრულების გაფორმება?! და ნიშნავს თუ არა ეს, უკრაინის დაქუცმაცებას?

ვაშინგტონს ერთი წელიწადია ვერ მოუნელებია ყირიმის დაკარგვა. მოსკოვმა ოსტატურად ააცალა სტრატეგიული სამხედრო-საზღვაო ობიექტი. „მაიდნის" რევოლუციის ამერიკულ გეგმაში ხომ ყირიმის ნახევარკუნძულის „მისაკუთრებას" დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა?!

არ გამოვიდა ყირიმში, გამოვა ოდესაში – სააკაშვილის ხელით. თანამშრომლობის ხელშეკრულებით რომ ამერიკული სამხედრო გემები ბინას დაიდებენ ოდესის პორტში და შავი ზღვის აკვატორიის გაკონტროლებას შეეცდებიან, ფაქტია. საქმე გაკეთდა. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა...

ვიძახოთ ჩვენ რეციდივისტი, ძებნილი, შერეკილი... არაფერი გამოვა, ვიდრე ისეთ ნაბიჯს არ გადავდგამთ, როგორიც ბიშკეკმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთს დაგვმართებს „სტრატეგიული პარტნიორი", დღევანდელობა სანატრელი გაგვიხდება. კვესიტაძეები და მათი და-ძმანი ისეთს დაატრიალებენ, დარჩენილი საქართველოც გუდანაბადს აიკრეფს და სამშობლოდან სამუდამოდ გადაიხვეწება, „რუსეთუმეს იარლიყით" დამშვენებული.

არადა რა რუსეთუმეობაზეა ლაპარაკი? როდესაც დასავლეთს აკრიტიკებ, განსაკუთრებით აშშ-ს, ეს თურმე რუსეთუმეობაა? არადა, რა უნდა ამის გამოსწორებას? არც არაფერი. უბრალოდ, „დიდმა" ქვეყანამ თავისი „დიდობა" ყოველწუთს ცხვირში არ უნდა შეგტენოს! თავისი გაკეთებული სიბინძურე სხვას არ უნდა გადააბრალოს, პატივი სცეს სხვათა კულტურას, ტრადიციებს, ისტორიას და არ უნდა თქვას, რომ ყველას მიაღებინებს კანონს ერთსქესიანთა ქორწინების თაობაზე და ა.შ.

არის ამის გამკეთებელი „დიდი"? თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, არც ერთ დროს, არც ერთ „დიდს" ეს არ გაუკეთებია და რაღა დღევანდელი „დიდი" გააკეთებს?

რუსული ანდაზაა – „რკინა გამოჭედე, სანამ ცხელია" და ჭედავს ამერიკა თავის რკინას და ამ პროცესში სხვასაც რთავს, ვითომდა თანამოსაქმეს. წახალისებული სხვები კი ისე გამეტებით იქნევენ უროს, გეგონებათ ამერიკელები იყვნენ. ასეთებს აუცილებლად სჭირდებათ დაფასება. და არიან ფულსდახარბებული კვესიტაძეები, ამერიკის დამცველ მოლაყბეებად ქცეულნი – „რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებიო, რუსული მედიაო, რუსული გავლენის გაფართოებაო", რომ გაჰყვირიან.

სამწუხაროდ, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი ცუდად მუშაობს და ასე იყო მაშინაც, როდესაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები არსებობდა. რატომ არ უნდა იყოს რუსული ენის, ლიტერატურის შემსწავლელი ცენტრი, არა კერძო, არამედ სახელმწიფო?! რატომ არ შეიძლება, რომ საქართველოს მოქალაქეებმა უვიზოდ იმოგზაურონ რუსეთში ისე, როგორც რუსები მოგზაურობენ საქართველოში?

რუსეთის გასაგონად მინდა ვთქვა – საქართველოსთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად უპირველესად სავიზო რეჟიმის გაუქმებაა საჭირო. და თუ ამით ნახევარი საქართველო შეუერთდება იმ მილიონს, რომელიც რუსეთში ცხოვრობს, რუსეთის ეკონომიკა არ დაიქცევა. პირიქით, იქნებ უვიზო მიმოსვლამ გააააქტიუროს ქართული ბიზნესი, ერთმანეთთან ვაჭრობა, რუსეთის ბაზარზე იმ საქონლის შეტანა, რომელიც ვერასდროს ეღირსება ევროკავშირის მზეს.

რუსეთთან ურთიერთობა ჰაერივით სჭირდება საქართველოს, ქვეყანას, რომელსაც უამრავი ნეგატივი გადახდა თავს 23-წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში. ეს ურთიერთობა მაინც მოვა, უნდათ თუ არა კვესიტაძეებს, სააკაშვილებს, ბარნოვებს, სხვა ვიგინდარებს.

რუსეთის გასაგონად ჩინეთის მაგალითს მოვიყვან. ჩინეთში დაიწყო საგარეო პოლიტიკაში ლინგვისტიკის გამოყენების ახალი ეტაპი. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ლინგვისტიკური სტრატეგია 2013 წლიდან დაიწყო, უკვე მუშაობს მთელი რიგი სამეცნიერო ცენტრები, ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩაფიქრებული კურსის ცხოვრებაში გატარებას. „მეზობელი ქვეყნების მშობლიური ენის შესწავლა აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის", – თვლიან ჩინელი სპეციალისტები. მეზობლებად კი ჩინელები 29 ქვეყანას მიიჩნევენ. ამ ქვეყნების მშობლიური ენები უდიდესი ყურადღებისა და შესწავლის საგანი უნდა გახდეს ჩინეთის ლინგვიტიკისთვის.

ენების შესწავლისთვის 2013 წელს პეკინის ლინგვისტიკის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ენათა და კულტურათა საკოორდინაციო ცენტრი, რომელშიც სწავლობს და სამეცნიერო კვლევებს ატარებს ათასობით უცხოელი სტუდენტი.

ლინგვისტიკასთან დაკავშირებით ჩინური გამოცდილება არც ჩვენ გვაწყენდა, მაგრამ ყოველდღიური პრობლემებით დახუნძლულ საქართველოს ამის თავი არ აქვს. ჩვენ მარტო ერთი მიმართულებით მივდივართ – ინგლისურის, თითქოს სხვა ენა არ არსებობდეს.



**საქართველოს არა აქვს უფლება ქარაფშუტულად ფიქრისა. მასშტაბური, საგნობრივი აზროვნება და მოქმედებაა საჭირო და არა დემაგოგიური, ავანტიურისტული ჭიჭყინი, რაც, სამწუხაროდ, უმთავრეს საქმედაა ქცეული.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი საქართველოს წყნარად იპყრობს

## მოკლე ცნობა

**რუსეთის დახმარებით სამხრეთი ოსეთის სადავო ტერიტორია კიდევ უფრო ღრმად მიიწევს საქართველოსაკენ, მაგრამ ეს ექსპანსია ძნელად რომ გადაიზარდოს სერიოზულ კონფლიქტში. 9 ივლისს რუსეთის მხარდაჭერით სამხრეთი ოსეთის ჯარებმა ცალმხრივად დააყენეს სასაზღვრო ნიშნები ქართული სოფლების წითელუბნისა და ორჭოსნის მახლობლად.** ახლად ხელშიჩაგდებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა მილსადენ „ბაქო-სუფსის" მონაკვეთიც, რომლის სიგრძეც 1605 მეტრია. და, მართალია, ძალის ეს სიმბოლური დემონსტრაცია მნიშვნელოვანია თავისთავად, იგი ამავე დროს არის საერთო ტენდენციის ერთ-ერთი გამოვლინება: უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სამხრეთი ოსეთი ნელ-ნელა სწევს წინ თავის საზღვრებს სამხრეთისაკენ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს დაჟინებული მოქმედებები განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით — მათ შორის სამხრეთ ოსეთში რუსეთის არმიის არამყარი პოზიციებით შეზღუდული ტერიტორიის პირობებში და იმ საფრთხით, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთის სამხედრო მოქმედებების გააქტიურებასთან შავი ზღვის რაიონში. მაგრამ, მიუხედავად საქართველოს ტერიტორიაზე თანდათანობითი წინწაწევისა, რუსეთმა ძნელად რომ შეძლოს უახლოეს პერიოდში განახორციელოს აქ მასშტაბური სამხედრო კამპანია.



## ანალიზი

**მას შემდეგ, რაც 1992 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამთავრდა ომი საქართველოსა და რუსეთის მხარდაჭერით მოსარგებლე სამხრეთ ოსეთს შორის, მკვეთრი ზღვარი ტერიტორიებს შორის რომლებსაც აკონტროლებენ, თბილისი, ერთი მხრივ, და სეპარატისტები, მეორე მხრივ, არც ყოფილა. ომის შემდეგ საქართველო ფლობდა ტერიტორიის დიდ მონაკვეთებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ნაწილი იყო — მათ შორის სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან ახალგორის რაიონში.** და, მართალია, შეზღუდული ხაზის გასწვრივ დროდადრო ხდება შეტაკებები მცირეოდენ რაზმებს შორის, ისინი სერიოზულ კონფლიქტში არ გადაზრდილან — 2008 წლამდე, როდესაც რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო. 2008 წლის აგვისტოში სამხრეთი ოსეთისა და რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ახალგორის რაიონი და გადავიდნენ შეზღუდვის ხაზზე, დაიპყრეს ტერიტორია, რომელიც თბილისის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. მას შემდეგ სამხრეთოსეთელები რუსეთის მხარდაჭერით ქმნიან თავდაცვით ინფრასტრუქტურას, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი შეიარაღებული თავდასხმა საქართველოს მხრიდან.

2008 წლის შემდეგ რუსეთის ჯარებმა დაიწყეს საქართველოს ტერიტორიის დაპყრობა, თუმცა, არა ძალით, არამედ თანდათანობითი წინწაწევით სიღრმეში. 2010 წელს გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსმა მესაზღვრეებმა თითქოს საზღვარი ახალგორის რაიონში 2 კილომეტრის სამხრეთით გადაიტანეს. ხელისუფლებამ უმალვე უარყო ეს ცნობები, თბილისი კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ საზღვარი 2008 წლის შემდეგ მართლაც გადაიტანეს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში — კერძოდ, სოფელ ფლევის რაიონში სამხრეთი ოსეთის აღმოსავლეთ ნაწილში. 2013 წლის მარტში რუსმა და სამხრეთოსეთებმა მესაზღვრეებმა გაავლეს საზღვრები 5 სოფელში ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობიც 100 ჰექტარია. შემდეგ — იმავე წლის მაისსა და სექტემბერში — მათ წინ წაიწიეს კიდევ უფრო სამხრეთისკენ და დაიკავეს სოფლები დიცი და დვანი სადაც ძირითადად ქართული მოსახლეობა ცხოვრობს. მარტო ერთ დვანში საზღვარი გადასწიეს დაახლოებით 600 მეტრზე. მაგრამ კვლავ ეს გადაადგილება აღმოჩნდა უმნიშვნელო საქართველოს ტერიტორიის მასშტაბურ ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, რაც 10 ივლისს მოხდა სოფელ წითელუბნისა და ორჭოსნის მახლობლად.

## რუსეთის სტრატეგიული მოტივები

**2008 წლის ომის დროს რუსეთს ჰქონდა სამხედრო უპირატესობა საქართველოზე. მაგრამ შემდეგ რუსეთის არმიის წინაშე წამოიჭრა რთული სტრატეგიული ამოცანა: როგორ დაიცვას სამხრეთი ოსეთი, რომელსაც, მეორე გამოყოფილი ტერიტორიისაგან — აფხაზეთისაგან — განსხვავებით არა აქვს რუსეთთან საერთო გრძივი საზღვარი.** სინამდვილეში სამხრეთი ოსეთი თითქმის მთლიანად გარშემორტყმულია საქართველოს ტერიტორიით. სამხრეთი ოსეთის დედაქალაქი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი ცხინვალი, რომელიც მდებარეობს მაგისტრალზე და რომელსაც მივყავართ ჩრდილოეთისკენ — კავკასიის მთავარი დერეფნის ჯავისაკენ — იმყოფება საქართველოს საზღვართან ძალიან ახლოს, რაც უშლის რუსეთის ჯარებს შეიჭრან ტერიტორიის სიღრმეში, უზრუნველყონ სივრცე მანევრებისათვის და ამით დაიკავონ ხელსაყრელი თავდაცვითი მდგომარეობა.

ამას გარდა, ქართული და სეპარატისტული რაიონების შეხების ხაზის გასწვრივ არ არის არც დიდი მდინარე, არც მთის მასივი. ფაქტობრივად, საერთოდ არაა ბუნებრივი საზღარი თვით ქალაქ გორამდე — ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტამდე. სამხრეთისაკენ გადაადგილების ანგარიშზე რუსეთის ჯარები უზრუნველყოფენ თავიანთთვის აუცილებელ სივრცეს მანევრებისათვის, რაც, თავდაცვით ინფრასტრუქტურასთან შეხამებით საშუალებას აძლევს მათ მოიგონ დრო შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, თუ საქმე მივა სამანევრო-სამხედრო მოქმედებებამდე, ბუნებრივი საზღვრების არქონა მაინც შექმნის რუსებისათვის გარკვეულ პრობლემებს.

ამას გარდა, საინტერესოა დროც, რომელიც არჩეულია საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შეღწევისათვის — ცვალებადი პოლიტიკური ვითარებისა და დასავლეთის სამხრეთ კავკასიაში სამხედრო გავლენის გაზრდის გათვალისწინებით, რუსეთსა და დასავლეთ შორის სერიოზული დაპირისპირების ფონზე. რუსეთისთვის სერიოზული პრობლემაა ნაბიჯები, რომლებსაც დგამს საქართველო ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით...

მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების ტაქტიკური გადაადგილება პოლიტიკურად საპასუხო ზომად გამოიყურება საკმაოდ არაჩვეულებრივად, მას აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ საკითხი შეეხება რუსეთის არმიის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფას ჩრდილოეთ ოსეთში. წლის ბოლოს საქართველოში დაგეგმილია გაიხსნას ნატოს სასწავლო ცენტრი, რაც საშუალებას მისცემს თბილისს განამტკიცოს სამხედრო პოტენციალი და გაზარდოს დასავლეთის სამხედრო ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ ამ კონტექსტში რუსეთი ასევე ისწრაფვის გააფართოვოს თავისი შესაძლებლობანი რეგიონში. ყველა მისი პრაქტიკული ნაბიჯი და აქტიურობის გაზრდა ეწერება რეგიონისათვის რუსეთის მიერ დამუშავებულ საერთო სტრატეგიაში: მიმდინარე წლის დასაწყისში კრემლმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს განამტკიცოს თავისი ბაზები ჩრდილოეთ ოსეთში, აფხაზეთსა და სომხეთში. ამას გარდა, რუსეთმა ამ ცოტა ხნის წინათ სომხეთს მისცა კრედიტი 200 მილიონი დოლარის ოდენობით შეიარაღების შესყიდვისათვის.

საქართველო პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად, რომლებსაც აერთიანებს მხოლოდ ტრასა „აღმოსავლეთი — დასავლეთი". არ არის გამორიცხული, რომ რუსეთისთვის ინტერესს წარმოადგენს მილსადენის ის მონაკვეთი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მის მიერ ხელში ჩაგდებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ ავტომაგისტრალსაც, რომელიც მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია სახმელეთო გადაზიდვებისათვის აზერბაიჯანიდან საზღვაო ნავსადგურებისაკენ და თურქეთში. და რადგანაც დაახლოებით ამ მნიშვნელოვანი მაგისტრალის გასწვრივ გადის დიდი ბრიტანეთის კომპანიის 2 მილსადენი — „ბაქო-სუფსა" და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი", რუსეთის დემონსტრაციული მოქმედებები ამ რეგიონში ნიშნავს აშკარა სიგნალს დასავლეთისთვის იმის შესახებ, რომ რუსეთი აქ ახორციელებს მნიშვნელოვან კონტროლს ენერგეტიკულ ნაკადებზე და სავაჭრო ოპერაციებზე კასპიის რეგიონსა და ევროპას შორის...

ამრიგად, მოქმედებები, რომლებიც განახორციელა რუსეთმა სამხრეთ ოსეთში, მოტივირებულია სტრატეგიული ხასიათის განგაშითა და უშიშროების პრობლემებით ამ ტერიტორიაზე და წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში საერთო-სამხედრო სტრატეგიის ნაწილს. მართალია, ამ მომენტში რუსეთის მიერ განსახორციელებელი მასშტაბური სამხედრო ოპერაციები საქართველოში უკიდურესად ნაკლებად საალბათოა, სავსებით ცხადია, რომ ორივე მხარე — საქართველოც და სამხრეთი ოსეთიც რუსეთის მხარდაჭერით — ცდილობენ გააძლიერონ თავიანთი პოზიციები არსებული საზღვრების ფარგლებში.

STRATFOR
GLOBAL INTELLIGENCE

# დედამიწის ზურგზე



### ობამამ იხუმრა მესამე ვადაზე და აფრიკელ ლიდერებს მოუწოდა – ნუ ებღაუჭებიან ხელისუფლებას

„მართლაც, ვფიქრობ, რომ მე საკმაოდ კარგი პრეზიდენტი ვარ", — განაცხადა ობამამ ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში. „ვფიქრობ, რომ ვმონაწილეობდე (არჩევნებში), შემეძლო გამემარჯვა", — ივარაუდა მან. ამ დროს დაგმო სხვა პრეზიდენტები, რომლებიც ისწრაფვიან დარჩნენ თავიანთ პოსტებზე სამუდამოდ.

### აშშ-ის კონგრესმა მოსთხოვა დაზვერვას ირანული გარიგების დამატებითი შეფასებები

წინა დღით იქ იყო მოსმენები, რომლის დროსაც სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ადასტურებდა, რომ კონგრესმენებს შეუძლიათ უსაფრთხოდ მოიწონონ გარიგება ირანთან, თუმცა დებატების შედეგები უცნობია. ბევრ რესპუბლიკელს მიაჩნია, რომ შეთანხმების პირობები არ იძლევა ირანის ბითვული პროგრამის მშვიდობიანი ხასიათის გარანტიას.

### სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებულია რუსეთში „არასასურველი ორგანიზაციის გამოჩენით"

„ჩვენ ღრმად ვართ შეშფოთებული რუსეთის ოფიციალური გადაწყვეტილებით ჩართოს „დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი" „არასასურველ ორგანიზაციათა რიცხვში", — ნათქვამია საგარეოპოლიტიკური უწყების განცხადებაში. ეს კანონი ზღუდავს რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ხელს უწყობს ქვეყნის შემდგომ იზოლაციას, მიაჩნიათ ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატებს.

### ავსტრალიის რეალითი-შოუს მონაწილეებს სირიაში ისლამისტებმა ესროლეს

ექვსი მონაწილე გაემგზავრა სირიაში, რათა ისაუბრონ დევნილთა ბედის შესახებ. პირველი ეპიზოდის გადაღების დროს პირველ ჯგუფს გაუხსნეს ცეცხლი ისლამური სახელმწიფოს ბოევიკებმა. არავინ დაზარალებულა, ერთ-ერთმა ტელეარხმა განაცხადა, რომ მონაწილეები საიმედოდ იყვნენ დაცულები. პაკისტანში აღმოაჩინეს დოკუმენტები „ისლამური სახელმწიფოს" გეგმებით მსოფლიო ხალიფატის შექმნისა და „სამყაროს დასასრულის" პროვოცირების შესახებ.




### ლა-მანშის ქვეშ გვირაბმა მიგრანტების უდიდესი შეტევა გადაიტანა

სამშაბათს ღამით გვირაბში შეღწევას შეეცადა ერთბაშად 2 ათასზე მეტი ადამიანი, 200 მათგანი დააპატიმრეს. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაერთიანებული სამეფოს მცხოვრებლებს მისცა რეკომენდაცია, შესაძლებლობისდა შესაბამისად, თავი აარიდონ სატრანზიტო მგზავრობას საფრანგეთის სანავსადგურო ქალაქ კალეს გავლით, სადაც არალეგალების შემოტევაა.



№141. ხუთშაბათი, 30 ივლისი, 2015 წელი.

# იისფერი იდუმალება

**ამერიკული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავი მერაია კერი მხოლოდ... იისფერ პროდუქტებს მიირთმევს. ეს უბრალო ხუშტური არ არის — მომღერალმა, უბრალოდ, იცის, რომ ამ ფერის საკვები ჯანმრთელობას უხდება და ახალგაზრდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.**

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჩვენთვის კარგად ცნობილი სტაფილო ყოველთვის როდი იყო ნარინჯისფერი: მე-17 საუკუნეში ეს ბოსტნეული იისფერი ყოფილა. თავდაპირველად სტაფილოს ეს ფერი ჰქონდა, როცა მან, მე-9 საუკუნეში თავისი მშობლიური ავღანეთიდან ჯერ ევროპამდე, შემდეგ კი იაპონიამდე და ამერიკამდე მიაღწია. „გზადაგზა“ სტაფილომ ფერი რამდენჯერმე შეიცვალა და ხან ყვითელი იყო, ხან თეთრი, ხანაც წითელი. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ისიც ჰოლანდიელ სელექციონერთა ექსპერიმენტების შედეგად, მან ამჟამინდელი ნარინჯისფერი მიიღო.

არადა, როგორც ვიცით, ისტორია სპირალურად ვითარდება და აი, ძვირიანი სუპერმარკეტების დახლებზე კვლავ გამოჩნდა იისფერი სტაფილო. მასთან ერთად სულ უფრო მეტად მატულობს მელნისფერ-ლილისფერი გულის მქონე კარტოფილის პოპულარობა. სხვათა შორის, ეს კარტოფილი გენმოდიფიკაციის შედეგი სულაც არ არის — ეს, უბრალოდ, მისი ერთ-ერთი ჩვეულებრივი ჯიშია, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ოდითგანვე ხარობდა.

მაშ, რით განსხვავდება ამ ფერის სურსათი და რატომ გახდა ასე პოპულარული?

ლილისფერი, იასამნისფერი, იისფერი სურსათისა და სასმელების უნიკალური თვისებები მათში ანტოციანების განსაკუთრებული პიგმენტების არსებობით აიხსნება. ამ გასაოცარ ნივთიერებებს უამრავი სამკურნალო თვისება აქვთ. კერძოდ:

- **კაპილარების მსხვრევადობისა და შეღწევადობის შემცირების ხარჯზე ისინი სისხლძარღვების კედლებს ამაგრებენ. ამის წყალობით ანტოციანები ორგანიზმს გულის სისხლძარღვთა დაავადებებისგან, ჰიპერტონიისა და ტრომბოფლებიტისგან იცავენ;**
- **ხელს უშლიან „ცუდი“ ქოლესტერინის წარმოქმნას, რომლის გამო სისხლძარღვებში ათეროსკლეროტული ბალთები ილექება, მაშასადამე, გულის იშემიური დაავადებისა და ათეროსკლეროზის პროფილაქტიკას ახდენენ;**
- **მათ აქვთ ანტივირუსული, ანტისოკოვანი და ბაქტერიციდული თვისებები. ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედებით კი ორგანიზმის ადაპტოგენურ თვისებებსა და იმუნიტეტს ამაღლებენ. ამიტომ იისფერი საკვები სასარგებლოა გაციებითი დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის:**
- **ანტოციანებს ასევე აქვთ სპაზმოლიტური თვისებები, რაც დიდი სარგებლის მომტანია ართრიტებისა და ქრონიკული ანთებითი პროცესების დროს;**
- **აქვთ კარგი ალერგიის საწინააღმდეგო, შარდმდენი და გამხსნელი მოქმედება;**
- **ინსულინის მსგავსი ზემოქმედების გამო ხელს უწყობენ სისხლში შაქრის დონის ნორმალიზებას. ამიტომაც მათი მოხმარება შეიძლება შაქრის დიაბეტის პროფილაქტიკის ერთ-ერთი საშუალება იყოს;**
- **სასარგებლოა თვალებისთვის — აუმჯობესებენ მხედველობას, აწესრიგებენ თვალის შიდა წნევას, ამაგრებენ ბადურას, ხელს უწყობენ თვალების გადაღლასთან ბრძოლას.**

შედარებით ჯანმრთელი ორგანიზმისთვის საკმარისია დღე-ღამეში 200 გრამი ანტოციანების მიღება (მათ ამ ოდენობას 100 გრამი მოცვი შეიცავს). ასაკოვანი, ან ქრონიკული დაავადებებით დასუსტებული ორგანიზმისთვის კი სარგებლის მომტანი იქნება ამ ულუფის 300 გრამამდე გაზრდა.

იმის გამო, რომ ჩვენი ორგანიზმი ანტოციანებს არ გამოიმუშავებს, მათი მიღება მხოლოდ ჩვეულებრივი საკვებიდან შეიძლება. ცხადია, უმჯობესია, ბუნებრივი სურსათის მოხმარება: რაც უფრო ძლიერაა შეფერილი ისინი, მით უფრო მაღალია მათში ამ სამკურნალო პიგმენტის შემცველობა.

ანტოციანებს მრავლად შეიცავს **მოცვი, შავი, წითელი და ლურჯი მოცხარი, შავი ძახველი, ალუბალი, მაყვალი, ბალი, კუნელი, შავი შტოში; შავი ყურძენი, ქლიავი, ბროწეული; ბადრიჯანი, სტაფილო და წითელთავა კომბოსტო, ასევე წითელი ხახვი, რეჰანი, ფერადი კომბოსტო, წიწაკა, ბოლოკი; ასევე წითელი ღვინო, მუქი ხილის წვენები.**

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი უაღრესად საგულისხმო გარემოება, თუმცა კი, მას ხილისა თუ ბოსტნეულის ფერთან არანაირი კავშირი არა აქვს. კერძოდ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღეში შვიდი და მეტი ულუფა ხილისა და ბოსტნეულის მირთმევა, ნებისმიერი დაავადებისგან სიკვდილის ალბათობას 42 პროცენტით ამცირებს.



# მწველი მზის საფრთხე

## როგორ გადაიტანონ სიცხე ჭარბი რისკის მქონე ადამიანებმა

- ოთხ წლამდე ბავშვები სიცხის მიმართ მეტად მგრძნობიარენი არიან. ისინი უფროსებზე აქტიურად მოძრაობენ, დიდხანს ერთ ადგილზე არ ჩერდებიან, მეტ დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე, მათი ფილტვები კი დაბინძურებული ჰაერისადმი უფრო მგრძნობიარეა.
- რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გამხდარი ადამიანები, ტანსრულებთან შედარებით, სიცხეს უფრო ცუდად იტანენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ცხიმოვანი უჯრედოვანა ორგანიზმს გადახურებისგან უკეთ იცავს.
- დაბინძურებულ გარემოში სიცხე უფრო აუტანელია, ამიტომ, ცხადია, უკეთესია გამწვანებულ ზონაში ცხოვრება. სიცხის გადატანა უფრო ჭირს ბეტონის მაღლივ შენობაში, განსაკუთრებით გახურებულ სახურავთან ახლოს, ზედა სართულებზე.
- ყველაზე მეტად სიცხის გადატანა კი გულის იშემიით, გულის უკმარისობით, ჰიპერტონიით, დიაბეტით, ბრონქებისა და ფილტვების, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევით, ფსიქიკურად, მათ შორის დეპრესიებით დაავადებულებს უჭირთ.

ქრონიკული ავადმყოფობებით სნეულებისთვის ექიმებს განსაკუთრებული რეკომენდაციები აქვთ, რომლებიც, პირველ ყოვლისა, წამლებს ეხება.



**ერთი, რომ ისინი მაცივარში უნდა ინახებოდეს, ვინაიდან მაღალი ტემპერატურის პირობებში შესაძლოა, თვისებები შეიცვალონ.**

**მეორე გარემოება ისაა, რომ არ შეიძლება მათი ექიმის კონსულტაციის გარეშე მიღება, რადგან სიცხეში არტერიული წნევა ქვეითდება. ამდენად, საადაპტაციო ჰიპოტონია უწყინარია, თუკი თავბრუსხვევა და გამოხატული სისუსტე არ ახლავს, მაგრამ ამ სიმპტომების გაჩენისთანავე საჭიროა ექიმს მიმართოთ.**

**მესამე გასათვალისწინებელი გარემოება ის არის, რომ სიცხეში ზოგიერთი პრეპარატის მიღება საშიშია,** მათ შორის განსაკუთრებით მოსარიდებელია **დიურეტიკები** და **ასპირინი.** ამიტომ ექიმის დანიშნულების გარეშე მათ მიღებას უნდა მოერიდოთ!

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არის სიცხის საწინააღმდეგო პრეპარატებიც. მის გადატანას შეგიმსუბუქებენ ეგრეთ წოდებული ადაპტოგენები, რომლებიც პაპანაქებაში ორგანიზმში წარმოშობილ მაგნიუმისა და კალიუმის დეფიციტს ავსებენ. ორგანიზმში კალიუმის ნაკლებობა კი გულის რიტმის დარღვევასა და კრუნჩხვებს იწვევს, და თუ იგი შეივსება, გულის სისხლძარღვთა პრობლემების წარმოშობის რისკი შემცირდება. მაგნიუმი კი ის ელემენტია, რომელიც სიმშვიდეს გვმატებს, განგაშის გრძნობას გვიხსნის. სიცხე ორგანიზმისთვის დიდი სტრესია და სწორედ მაგნიუმი გვეხმარება მის გადატანაში.

# რა საშიშ დანამატებს შეიცავს საღეჭი რეზინი

**საღეჭი რეზინა ბავშვების სუსტი წერტილია. ზოგიერთს დღეში მთელი კოლოფიც არ ჰყოფნის — დაღეჭავს, გემო გაუვა თუ არა, გადააგდებს და ახალს დაღეჭავს. საღეჭი რეზინის დადებით თვისებადაა აღიარებული ის ფაქტი, რომ კბილებს იმ საშიში ბაქტერიებისგან წმენდს, რომლებიც კარიესის წარმოქმნაში მონაწილეობენ. ადამიანს უკვე დიდი ხანია, ჩამოუყალიბდა ჩვევად, ღეჭვა ყლაპვის გარეშე. არქეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ჯერ კიდევ ქრისტეს შობიდან 50 წელს ბერძნები ხის ფისს ღეჭავდნენ. ეს ჩვევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც იყო და საკმაოდ სასარგებლოც გახლდათ ამგვარი საღეჭი საშუალება.**



მაიას ტომის ინდიელები ამ მიზნით ხმარობდნენ ახრასის ხის ფისს, ხოლო ძველი გერმანელები — თაფლით გაჟღენთილ ბეწვს.

თუმცა, სამწუხაროდ, სარგებლობის გარდა, იმ საღეჭ რეზინებს, რომლებიც დღეს მრავლად არის დახლებზე, სიავეც ბევრი მოაქვს. რით არის საშიში საღეჭი რეზინი?

საქმე ისაა, რომ იგი ქიმიურ დანამატებს შეიცავს, რომლებიც ორგანიზმისთვის სასარგებლო ვერ იქნება. კარგია, რომ საღეჭი რეზინის გადაყლაპვა არ გვიწევს, თუმცა, ბავშვები ამისგან დაზღვეულნი არასოდეს არიან. ცნობისთვის, საღეჭი რეზინა რომ იჭმებოდეს, ის აკრძალული პროდუქტი იქნებოდა. თუნდაც არ გადავყლაპოთ, ღეჭვის პროცესშიც მისგან ბევრ საშიშ ნივთიერებას ვიღებთ. რაც უფრო ხშირად ვღეჭავთ, მით უფრო მეტ მავნე ნივთიერებას ვყლაპავთ.

წარმოგიდგენთ ამ დანამატებს — ეს ემულგატორებია, რომლებიც შეფუთვაზე ციფრების სახით ხშირად არის წარმოდგენილი. ეს დანამატები მას გემოსა და სასაქონლო იერსახეს უნარჩუნებენ.

— E965 — უზრუნველყოფს პროდუქტის სიტკბოს. დიდი დოზით მიღება კუჭის პრობლემებს იწვევს. ზოგიერთ ქვეყანაში შეფუთვაზე ამის შესახებაც აფრთხილებენ მომხმარებელს.

— E951 — სინთეტური ნივთიერებაა. აქტიური მოხმარების შემთხვევაში კანის პრობლემებს იწვევს.

— E950 — კიდევ ერთი დამატკბობელი, ახალი ნივთიერებაა და ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. უკვე არსებობს შედეგები, რომლებიც მასში კანცეროგენების არსებობაზე მიუთითებენ.

— E414 — ემულგატორი, იწვევს კუჭ-ნაწლავის დაავადებებს.

— E422 — გემოს სტაბილიზატორი, უარყოფითად მოქმედებს თირკმელებზე, ემუქრება მის სასიცოცხლო ფუნქციებს.

— E321 — ანტიოქსიდანტი, ძლიერი ალერგენი.

— E341 — ანტიოქსიდანტი, ახასიათებს კუჭ-ნაწლავის მოქმედების მოშლა.

ამიტომ საღეჭი რეზინა, რომელსაც ბავშვები 2-3 წლიდან უკვე ღეჭავენ (ან უარესი — ყლაპავენ), მათთვის მავნებელია. აკონტროლეთ, რომ ბავშვმა ახალ-ახალი კევი მალ-მალე არ დაღეჭოს, ეს მათი მავნე ჩვევაა, და დააკვირდით კევის შემადგენლობასაც.

# როცა ღამით ფეხი გვიკავდება...

**ღამის კრუნჩხვა — ფეხის გაკავება უსიამოვნო, უეცრად აღმოცენებული მოვლენაა, რომელსაც თან ახლავს კანჭის კუნთების მიდამოს ძლიერი ტკივილი.**

კუნთის სპაზმის განვითარების მიზეზი მრავალია. ღამით ფეხის გაკავება შეიძლება, იყოს ერთჯერადი ან ჰქონდეს ქრონიკული ხასიათი. პირველ შემთხვევაში **კუნთის ტკივილი შეიძლება, გამოიწვიოს ძილის დროს უხერხულმა პოზამ, გადაციებამ ან ძლიერმა დაღლილობამ. პერიოდული კრუნჩხვები ხშირად დაავადების დაწყებაზე მიუთითებს** და საჭიროა დროულად ექიმთან ვიზიტი და ორგანიზმის გამოკვლევა.

**კრუნჩხვის მიზეზი შეიძლება იყოს ფეხის დახურული ტრავმა, ვარიკოზი, ნევროლოგიური დაავადებები, ანთებითი პროცესები, ასევე იგი თან ახლავს შაქრიანი დიაბეტის საწყის სტადიას.** მიზეზის დასადგენად საჭიროა მიმართოთ ოჯახის ექიმს, ჩაიტაროთ გამოკვლევები და შეიძლება დაგჭირდეთ ფლებოლოგის, ნევროლოგისა და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია.

**ღამით ფეხის გაკავება შეიძლება, ორგანიზმში მაგნიუმის უკმარისობამ გამოიწვიოს. დეფიციტი შეიძლება განვითარდეს ორსულობის, ხანგრძლივი სტრესის, ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის მიღების ან ცილოვანი დიეტის დროს.** ამ შემთხვევაში ეფექტური შეიძლება, აღმოჩნდეს ვიტამინების კომპლექსი და მაგნიუმის შემცველი სპეციალური პრეპარატები.

ასევე საჭიროა რაციონის გამდიდრება ქონდრით, ოხრახუშით, კამით, რეჰანით. 100 გრამი მწვანილი შეიცავს დაახლოებით 700 მგ მაგნიუმს, რაც ორმაგ დღეღამურ დოზას წარმოადგენს. მაგნიუმით მდიდარია ავოკადო, ლობიო, ბარდა. 100 გრამ შავ შოკოლადში 200მგ მაგნიუმია. მაგნიუმის ძირითადი დანიშნულებაა ორგანიზმს დაეხმაროს კალციუმის ათვისებაში, ამიტომ ამ უკმარისობის შევსება საჭიროა ერთდროულად კალციუმის პრეპარატების მიღებით. მაგნიუმი ასევე მოქმედებს ტვინის მუშაობაზე, აქვეითებს არტერიულ წნევას და ხელს უწყობს ნაღვლის ბუშტიდან კენჭების გამოყოფას.

**როცა ფეხი გიკავდებათ, რეკომენდებულია დადგეთ იმ ფეხის ქუსლზე, რომელშიც აღინიშნება ტკივილი. ხელებით დაიმასაჟეთ დაჭიმული კუნთი. თუ კრუნჩხვის გავლის შემდეგ კუნთში ტკივილი დარჩა, საჭიროა ელასტიკური ბინტით ფეხის შეხვევა ტერფიდან მუხლამდე.**

გარდა კვების რეჟიმისა, კალციუმისა და მაგნიუმის შემცველი პრეპარატების მიღებისა, შესანიშნავია დილის ვარჯიში, კონტრასტული აბაზანები, მასაჟი, ძილის დროს შალის წინდების ჩაცმა. თუ თქვენი სამუშაო დღე დაკავშირებულია ფეხზე დგომასთან, ღამის კრუნჩხვა ვენების ვარიკოზული გაგანიერების დასაწყისის მომასწავებელია. ფეხების მომატებული დაღლილობისას და ღამის კრუნჩხვისას, ყურადღება მიაქციეთ ფეხსაცმლის ხარისხს, ქალბატონებმა მაქსიმალურად უნდა შეზღუდონ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების ტარება.

◉ ბუღი ასდის ქალაქს!..



# როგორ ვებრძოლოთ სიცხეს

## დღეს და ხვალ ტემპერატურა 39 გრადუსამდე მოიმატებს

**საქართველოს** მთელს ტერიტორიაზე 30-31 ივლისს ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დაბლობსა და ბარში მოიმატებს +38, +39 გრადუსამდე, შავი ზღვის სანაპირო ზოლში +31,+33-მდე. ამასთან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნალექო ამინდები იქნება.

1 აგვისტოს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში შესაძლებელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ შენარჩუნდება უნალექო ამინდი.

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი მოქალაქეებს მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში რეკომენდაციებს სთავაზობს. დაავადებათა კონტროლის ცენტრში აცხადებენ, რომ უნდა შენარჩუნდეს სახლში სიგრილე: სახლში ტემპერატურა უნდა შემოწმდეს დილის 08:00 საათიდან 10:00-მდე, 13:00-ზე და ღამით 22:00 საათის შემდეგ.

**„დღისით ოთახის იდეალური ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 32 გრადუსს, ხოლო ღამით კი 24-ს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და 60 წლის ასაკს გადაცილებული ადამიანებისათვის, აგრეთვე მათთვის, ვისაც ქრონიკული დაავადებების დიაგნოზი აქვთ; ღამით უნდა გაიღოს ფანჯრები და ასეთ მდგომარეობაში უნდა დარჩეს დილამდე, იქამდე სანამ გარეთ სიგრილე იქნება (თუ ეს სახიფათო არ არის); დღისით უნდა შემცირდეს სახლში სიცხის შეღწევა — აუცილებელია დაიხუროს ფანჯრები, ჟალუზები და დარაბები, განსაკუთრებით მზის მხარეს და შეძლებისდაგვარად გამოირთოს ელექტრომოწყობილობები და ხელოვნური განათება; უნდა ჩამოიკიდოს მზის მხარეს დამჩრდილავი ფარდები, ჟალუზები, დარაბები და სველი პირსახოცები, რაც გაგრილებასთან ერთად სახლს დაატენიანებს; მათ ვისაც სახლში აქვს კონდენციონერი, უნდა დაკეტონ კარებები და ფანჯრები, რათა ეფექტურად გამოიყენოს ელექტროენერგია, რაც ასევე ხელს უწყობს ქვეყანაში ელექტროენერგიის დეფიციტს; რაც შეეხება ვენტილატორს, ის გამოსადეგია იმ შემთხვევაში თუ ტემპერატურა არ აღემატება 35C-ს. ხოლო თუ ტემპერატურა აღემატება 35-ს, ის ვერ მოხსნის სიცხესთან დაკავშირებულ პრობლემებს“,** — აცხადებენ დაავადებათა კონტროლის ცენტრში.

ცენტრის კიდევ ერთი რეკომენდაციაა, რომ მოქალაქეებმა მიიღონ დიდი რაოდენობით სითხე.

რაც შეეხება სიცხისგან დაცვას, გამოქვეყნებული რეკომენდაციები ასეთია:

„უნდა მოხდეს გადასვლა ცხელი ოთახიდან გრილში, განსაკუთრებით — ღამით.

თუ შეუძლებელია სახლში სიგრილის შენარჩუნება, უმჯობესია დღის 2-3 საათი გაატაროთ გრილ ადგილას (მაგალითად რომელიმე საზოგადოებრივ შენობაში, სადაც ჰაერი კონდენციონერით გრილდება)“.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მაღალი სიცხის დროს მოქალაქეებს მოუწოდებს: **მოერიდნონ დღის ყველაზე ცხელ პერიოდში ქუჩაში გასვლას, მაღალინტენსიურ ფიზიკურ აქტივობას, გაჩერდნენ ჩრდილში, არ დატოვოთ ბავშვები და შინაური ცხოველები გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებებში, შეინარჩუნონ სხეული გრილად და ტენიანად, მიიღონ გრილი შხაპი, ან გამოიყენონ ყინულის პაკეტები, სველი პირსახოცი, და სხვა, ქუჩაში გასვლისას ატარონ ნატურალური მასალის, ღია ფერის, თავისუფალი ტანსაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი ან კეპი და მზისგან დამცავი სათვალე. იხმარონ საწოლის მსუბუქი თეთრეული და არავითარი ბალიში, რათა სიცხის დაგროვება აიცილოთ თავიდან, მიიღონ დიდი რაოდენობით სითხე, ალკოჰოლის, ტკბილი და კოფეინიანი სასმელების გარდა, საკვები მიიღონ ხშირად და მცირე ულუფობით. მოერიდნონ ცილის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებს.**

ცენტრის რეკომენდაცია ეხება მაღალი სიცხის შემთხვევაში სხვების დახმარებასაც, რომელიც გულისხმობს: დახმარების გეგმის გაცნობა უნდა მოხდეს ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისთვის, მეზობლებისთვის, რომლებიც ძირითადად მარტონი არიან; ოჯახში უნდა მოხდეს განხილვა, თუ როგორ იმოქმედონ მაღალი სიცხის დროს ექსტრემალურ პირობებში, რათა ყველამ იცოდეს, თუ როგორ დაეხმარონ ადამიანებს პირველადი დახმარების ჩვევების შესწავლაში.

ცენტრის კიდევ ერთი რეკომენდაციაა, რომ თუ ადამიანი იგრძნობს თავბრუსხვევას, სისუსტეს, ძლიერ წყურვილს ან თავის ტკივილს, სასწრაფოდ მოთავსდეს გრილ ადგილას და გაიზომოს სხეულის ტემპერატურა, მიიღოს წყალი ან ხილის ნატურალური წვენი. კუნთების მტკივნეული სპაზმის შემთხვევაში (განსაკუთრებთ ფეხებში, ხელებში ან მუცელზე), საჭიროა ელექტროლიტების შემცველი ხსნარების მიღება. თუ აღნიშნული სიმპტომები ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს, ასევე ექიმს უნდა მიმართოთ უჩვეულო სიმპტომების დროსაც.

**თუ ოჯახის რომელიმე წევრი, ან ნებისმიერი ადამიანი ცხელია, კანი გამომშრალი აქვს, ბოდავს, კრუნჩხვები აქვს ან დაკარგა გონება, აუცილებელია სასწრაფო დახმარების გამოძახება ან დაკავშირება ოჯახის ექიმთან. აუცილებელია სასწრაფო დახმარების მოსვლამდე დაზარალებული გადაიყვანონ გრილ ადგილას, დააწვინონ ჰორიზონტალურად, აუწიონ ფეხები, გაუხსნათ ტანსაცმელი, რომ არ უჭერდეს, კისერზე, იღლიის ქვეშ, საზარდულის არეში დაადოთ ყინულის პაკეტი, ტანი დაუზილონ 25-30 გრადუსის ტემპერატურის წყლით და გაუზომონ სხეულის ტემპერატურა. დაუშვებელია ამ დროს აცეტილსალიცინის მჟავის ან პარაცეტამოლის მიცემა“.**

**დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ცენტრი.**

# ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ

### 500კვ-იანი ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტი

2015 წლის 31 ივლისიდან, სს. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა/შპს „ენერგოტრანსი“, საქართველოს კანონდებლობისა და გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) დირექტივების შესაბამისად, იწყებს „500კვ-იანი ქსანი-სტეფანწმინდა ელექტროგადამცემი ხაზის“ მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის **ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების** დოკუმენტის საჯარო განხილვას. პროექტი გულისხმობს 500 კვ-იანი გადამცემი ხაზის (დაახ. 100 კმ) მშენებლობას, არსებულ ქსნის 500/220/110 კვ ქვესადგურსა და ასაშენებელ, სტეფანწმინდის 500/110 კვ ქვესადგურის დასაკავშირებლად

4. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება ა.წ. 24 სექტემბერს, 11:00 სთ-ზე, მცხეთის რაიონის მუნიციპალიტეტის შენობის სააქტო დარბაზში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

5. ა.წ. 24 სექტემბერს, 15:00 სთ-ზე, დუშეთის რაიონის მუნიციპალიტეტის შენობის სააქტო დარბაზში, მე-2 სართულზე, შემდეგ მისამართზე: დუშეთის რაიონული ცენტრი, რუსთაველის ქ. №27.

6. ა.წ. 25 სექტემბერს, 12:00 სთ-ზე, ყაზბეგის რაიონის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში, 1 სართულზე, შემდეგ მისამართზე: დაბა სტეფანწმინდა, ალექსანდრე ყაზბეგის №1.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსიები

- გარემოს დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა„ — ბარათაშვილის 32
- შპს „ენერგოტრანსი“ — ბარათაშვილის №2, I სართული

ელექტრონული ვერსიები

- დოკუმენტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია - www.gse.com.ge; www._energotrans.com.ge ; _ინტერნეტ გვერდებზე
- მცხეთის რაიონის მუნიციპალიტეტი
- დუშეთის რაიონის მუნიციპალიტეტი
- სტეფანწმინდის რაიონის მუნიციპალიტეტი

კომენტარები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში, ელექტრომული ფორმით შემდეგ მისამართებზე: info@energotrans.com.ge; a.khetaguri@energotrans.com.ge; m.gikoshvili@energotrans.com.ge და

წერილობითი ფორმით მისამართზე: შპს. „ენერგოტრანსი“ — ბარათაშვილის №2, I სართული

# INFORMATION ON PUBLIC DISCLOSURE

500 kW Ksani-Stepantsminda Power Transmission Line Construction Project

As per the guidelines of Georgian Legislation and German Development Bank (KfW), Georgian State Power System JSC/"Energotransi" Ltd. starts public disclosure of **Natural and Social Environment Impact Assessment** document within "500 kW Ksani-Stepantsminda Power Transmission Line" construction and operation project, since July 31th, 2015. The project considers construction of 500 kW transmission line (approximately 100 km) for connection of existing 500/220/110 kW Ksani sub-station and 500/110 kW Stepantsminda sub-station to be constructed.

1. Public disclosure meeting, on Environmental Impact Assessment (EIA) of the project will be held at 11:00 a.m. of September 24th, 2015 at an Assembly Hall of Mtskheta District Municipality building, located at the address as follows: #7 Antioqia Str., Town Mtskheta;
2. At 15:00 p.m. of September 24th, 2015 at an Assembly Hall of Dusheti District Municipality Building - 2nd Floor, #27 Rustaveli Str., Dusheti District Center;
3. At 12 p.m. of September 25th, 2015 at an Assembly Hall of Kazbegi District Municipality building, 1st Floor, at the address as follows: #1 Aleksandre Kazbegi Str., Daba Stepantsminda.

Draft of the EIA to be reviewed along with respective detailed information for interested parties is available at the following addresses:

Hard copies of the Document:

- #6 Gulua Str., Tbilisi City, Ecological Expertise and Inspection Department of Ministry of Natural Resources Protection of Georgia;
- #2 Baratashvili Str. – "State Power System of Georgia" JSC;
- 1-st Floor, #2 Baratashvili Str. – "Energotransi" Ltd.

Soft copies of the Document:

- Soft copy of the document is available at the following web-pages: www.gse.com.ge;
www._energotrans.com.ge ;
- Mtskheta District Municipality
- Dusheti District Municipality
- Stepantsmina District Municipality

Remarks via email will be accepted from the day of announcement during 45 days at the following email addresses: info@energotrans.com.ge; a.khetaguri@energotrans.com.ge; m.gikoshvili@energotrans.com.ge, while hard copies of remarks may be submitted at 1-st Floor, #2 Baratashvili Str. – "Energotransi" Ltd.

**თბილისი – 2015**

ხელბურთი

# ისევ წააგეს

**საქართველოს ხელბურთელ გოგონათა და ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა ფესტივალის მეორე ტურშიც თავი ვერაფრით გამოიჩინეს – დიდი სხვაობით დამარცხდნენ, გოგონები – რუსებთან, ვაჟები – ფრანგებთან.**

**გოგონები**

A **ჯგუფი.** ჩერნოგორია – დანია 16:29, გერმანია – ნორვეგია 20:21.

**ორი ტურის შემდეგ:** დანია – 6 (53:32), ნორვეგია – 6 (43:40), გერმანია – 0 (36:45), ჩერნოგორია – 0 (36:51).



B **ჯგუფი.** საქართველო – რუსეთი 16:34, რუმინეთი-ჩეხეთი 25:26.

**ორი ტურის შემდეგ:** ჩეხეთი – 6 (70:43), რუსეთი-6 (57:36), რუმინეთი-0 (45:49), საქართველო – 0 (34:78).

**ვაჟები**

A **ჯგუფი.** გერმანია – უნგრეთი 31:18, ნორვეგია – დანია 24:30.

**ორი ტურის შემდეგ:** გერმანია – 6 (56:39), დანია – 3 (51:49), ნორვეგია –3 (51:54), უნგრეთი – 0 (42:58).

B **ჯგუფი.** საქართველო – საფრანგეთი 30:46, სლოვენია – შვეიცარია 29:21.

**ორი ტურის შემდეგ:** საფრანგეთი-6 (78:59), სლოვენია – 3 (58:53), შვეიცარია – 3 (49:51), საქართველო – 0 (52:74).

მძლეოსნობა

# კვარცხლბეკი

**ვაჟები**
**3000 მ.**
1. ელზან ბიბიჩი (სერბეთი),
2. ნურკან დაგტეკინი (თურქეთი),
3. ლისა ტინდარო (იტალია).



**100 მ.**
1. ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი),
2. ლაური ტუომილეჰტო (ფინეთი),
3. პოლ ავილა რეტმალი (ესპანეთი).

**გოგონები**
**100 მ.**
1. კიარა ნევილი (ირლანდია),
2. ნატალია ადამეკი (პოლონეთი),
3. ინგვილდ მეინსეტი (ნორვეგია).
**3000 მ.**
1. დიანა ვან ესი (ჰოლანდია),
2. თამარ მიკევიჩი (სერბეთი),
3. ნორბერტ ტინკი (ბელგია).

ჩოგბურთი

# მეორე წრეც გადალახეს

**„მზიურის“ კორტებზე ქართველმა ჩოგბურთელებმა მეორე წრის შეხვედრებშიც წარმატებით ითამაშეს.** ვაჟებში ნიკოლოზ დავლიანიძემ, რომელიც მე-5 ნომრადაა განთესილი, ბრიტანელ მარტინ ემილ ჰუდს სამ სეტში დააყრევინა ფარ-ხმალი – 6:4, 5:7, 7:5. დავით ჭელიძე ასპარეზობის მე-9 ნომერ დანიილს ბატმანოვსს (ლატვია) დაუპირისპირდა. პირველი ხელი ჩვენებურმა დაძაბულ პაექრობაში 7:5 მოიგო, მეორეში, როცა 3:1 დაწინაურდა, ბალტიისპირელმა ტრავმა მიიღო და ორთაბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო.



გოგონებში ანა შანიძემ ბერძენ მაკროპულუს აჯობა – 2:6, 6:4, 6:4, ხოლო ანა მაქაცარიამ ბულგარელი გერგენა ტოპალოვა ჩამოიშორა გზიდან – 6:1, 2:6, 6:4.

კალათბურთი

# მეორე ტურის შედეგები

**გოგონები**

A **ჯგუფი.** ლატვია – საფრანგეთი 49:45, უნგრეთი – რუსეთი 68:57.

**ორი ტურის შემდეგ:** უნგრეთი – 4, ლატვია-2, რუსეთი – 2, საფრანგეთი – 0 ქულა.

B **ჯგუფი.** საქართველო – ჩეხეთი 23:100, თურქეთი – ბელგია 55:70.

**ორი ტურის შემდეგ:** ბელგია – 4, ჩეხეთი – 2, თურქეთი – 2, საქართველო – 0 ქულა.

**ვაჟები**

A **ჯგუფი.** საქართველო – ბოსნია 74:81, თურქეთი – ლატვია 42:84.

**ორი ტურის შემდეგ:** ბოსნია – 4, საქართველო – 2, ლატვია – 2, თურქეთი – 0 ქულა.

B **ჯგუფი.** სერბეთი – ესპანეთი 34:65, გერმანია – იტალია 66:50.

**ორი ტურის შემდეგ:** ესპანეთი – 4, გერმანია – 2, სერბეთი – 2, იტალია – 0 ქულა.




ველოსპორტი

**გოგონები**
**ინდივიდუალური რბოლა**
1.ელენა პირონე (იტალია, 14,12,43),
2.კლარა კოპონი (საფრანგეთი, 14.16,41),
3.ლორენ დოლანი (დიდი ბრიტანეთი, 14.19,12).

ფრენბურთი

**საქართველოს ფრენბურთელ გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა ორივე ტურის შეხვედრები დათმეს.**

**გოგონები**

A **ჯგუფი:**

თურქეთი – იტალია 3:2, საქართველო – რუსეთი 0:3, რუსეთი-თურქეთი 1:3, საქართველო-იტალია 0:3.

**ორი ტურის შემდეგ:** თურქეთი – 6, იტალია – 3, რუსეთი-3, საქართველო – 0.

B **ჯგუფი**

სერბეთი – პოლონეთი 3:0, ჩეხეთი – ბელგია 1:3, ბელგია – სერბეთი 0:3, პოლონეთი – ჩეხეთი 3:2.

**ორი ტურის შემდეგ:** სერბეთი – 6, ბელგია – 3, პოლონეთი – 3, ჩეხეთი – 0.

**ვაჟები**

A **ჯგუფი**

რუსეთი – ბულგარეთი 1:3, პოლონეთი – საქართველო 3:0, პოლონეთი-რუსეთი 3:0, საქართველო – ბულგარეთი 0:3.

**ორი ტურის შემდეგ:** პოლონეთი– 6, ბულგარეთი – 6, რუსეთი – 0, საქართველო –0.

B **ჯგუფი**

თურქეთი – ჩეხეთი 0:3, იტალია– სერბეთი 3:1, იტალია – თურქეთი 3:0, სერბეთი – ჩეხეთი 1:3.

**ორი ტურის შემდეგ:** იტალია – 6, ჩეხეთი – 6, სერბეთი – 0, თურქეთი – 0.



**მშვილდოსნობა**

# რევანშების დღე,

## ანუ ქართველთა „სამაიას“ რიოს საგზური

**ოთხი წლის წინათ ტურინში ლონდონის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრებმა იტალიელებს სძლია, მაგრამ ჩვენებს მოგებული შეხვედრა ხელახლა ჩაატარებინეს და 2012 წლის საგზური ჯიბიდან ამოაცალეს.**

და აი, ქართველთა „სამაიამ“ (ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, იულია ლობჟანიძე) დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ მსოფლიოს სალიცენზიო ჩემპიონატზე აპენინელებს სკანდალური მარცხისთვის ღირსეული რევანში აუღო – გუნდურში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იტალია (ნატალია ვალეევა, გვანდელინა სარტორი, ელენა ტონეტა) პლეი ოფის პირველსავე შეხვედრაში 5:1 დაამარცხა (54:52, 55:55, 55:54) და ულიცენზიოდ დატოვა. ქართველი მშვილდოსნები მეოთხედფინალში გავიდნენ, რაც ავტომატურად იძლევა რიო დე ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიადის საგზურს. ესაა პირველი შემთხვევა, როცა ჩვენებმა გუნდურში გაინაღდეს ლიცენზია, თანაც ნაკრების სამივე წევრს პირად პირველობაში გამოსვლის უფლებაც აქვს, ანუ ერთი გასროლით ოთხი ლიცენზია მოინაგრეს. მართალია, ქართველმა ჩუბინებმა მერე სამხრეთკორეელებთან წააგეს 2:6 (52:53, 56:58, 56:54, 54:56) და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ, მაგრამ მთავარ მიზანს მიაღწიეს. 2 აგვისტოს ფინალში რუსები ინდოელებს შეხვდებიან, ხოლო ბრინჯაოსთვის კორეა და იაპონია იბრძოლებენ. საგულისხმოა, რომ ძლიერი ქვეყნებიდან, იტალიელთა გარდა, ულიცენზიოდ დარჩნენ ტაივანი, გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, უკრაინა, აშშ...




კოპენჰაგენში შერეულ წყვილთა პაექრობებიც გაიმართა. ბაქოს თამაშების ვერცხლის პრიზიორებმა – ხათუნა ნარიმანიძემ და ლაშა ფხაკაძემ პირველ წრეში უკრაინელებს (ვერონიკა მარჩენკო, მარკიან ივაშკო) სძლიეს 3:1 (35:32, 36:33, 35:37, 38:30), ხოლო მეორე წრეში ღირსეული რევანში აუღეს იტალიელთა ტიტულოვან წყვილს (ოლიმპიური ჩემპიონი მაურო ნესპოლი და მსოფლიოს ოთხგზის გამარჯვებული ნატალია ვალეევა) ბაქოში პირველი ევროპული თამაშების ფინალში მარცხისთვის. ჩვენებმა სამივე სეტი მოიგეს და 6:0 გაიმარჯვეს (35:34, 36:35, 38:33).

ნახევარფინალი ქართველმა ჩუბინებმა ტაივანელებთან - ში-ჩია ლინთან და ჩენ-ვეი კუოსთან 0:6 დათმეს (31:36, 33:36, 31:36). 2 აგვისტოს ნარიმანიძე და ფხაკაძე ბრინჯაოს მედლისთვის ჩინელებს დაუპირისპირდებიან.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: მარცხნიდან – ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, იულია ლობჟანიძე.**

**მძლეოსნობა**

# ოთხი მედალი ყაზახეთიდან

**ექვსი ქართველი მძლეოსანი მონაწილეობდა ყაზახეთის ყოფილ დედაქალაქ ალმათის საერთაშორისო ტურნირში კასანოვის პრიზზე. ჩვენმა სპორტსმენებმა ოთხი მედალი მოიპოვეს – ორი ოქროსი და ამდენივე ვერცხლისა: ბაჩანა ხორავა სიგრძეზე 7,93 მეტრზე გადახტა, რამაც მას პირველი ადგილი მოუტანა.** ასევე პირველი იყო სიმაღლეზე მხტომელი ვალენტინა ლიაშჩენკო, რომელიც 1,85 მეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. სამმხტომელი ლაშა თორღვაიძე 16,41 მეტრით მეორე ადგილზე გავიდა. ვერცხლის მედალს დასჯერდა სიგრძეზე მხტომელი მაიკო გოგოლაძეც. მისი შედეგია 6.07 მეტრი. მეხუთე ადგილები ერგოთ ზურაბ გოგოჭურსა და ნიკა კარტავცევს. გოგოჭურმა სიმაღლეზე ხტომაში 2.18 მეტრი დაძლია, ხოლო კარტავცევმა 200 მეტრი 22.59 წამში დაფარა.

**გივი გაგუა**

**სურათზე: ბაჩანა ხორავა.**



## უეფას სუპერთასი

# 11 აგვისტოს „დინამო არენაზე“ ლიცენზირებული მუსიკა გაიჟღერებს

**სფფ-ის ოფისში UEFA-ს სუპერთასის მატჩზე მუსიკის გამოყენებისთვის საჭირო საავტორო უფლებების ლიცენზიას მოეწერა ხელი.**

**ლიცენზიას ხელი მოაწერეს სფფ-ის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ და საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ.**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიძინა იმ მუსიკის ლიცენზია, რომელიც 11 აგვისტოს სუპერთასის მატჩის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაზე გაჟღერდება. ლიცენზიის საფუძველზე ფეხბურთის ფედერაცია მუსიკალური ნაწარმოებების ავტორებს კუთვნილ




ჰონორარს გადაუხდის, რომელიც ადრესატამდე საავტორო უფლებათა ასოციაციის მეშვეობით მივა.

**ზვიად სიჭინავა:** „უეფას წარმომადგენლებს ძალიან გაუკვირდათ იმის გაგება, რომ სტადიონს მსგავსი ლიცენზია შეძენილი არ ჰქონდა. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვეცვა კანონი და როგორც წესია, 11 აგვისტოს სტადიონზე გაჟღერებული ყველა მუსიკა იქნება ლიცენზირებული. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ერთეული შემთხვევა არ იქნება და ჩვენ ვეცდებით, სამომავლოდ, ჩვენს სტადიონებზე ეს პრაქტიკა დავამკვიდროთ.

**გიგა კობალაძე:** „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ძალიან კარგი და სწორი ნაბიჯი გადადგა, რისთვისაც მე მადლობას ვუხდი ბატონ ზვიადს. დიახ, 11 აგვისტოს მატჩზე ყველაფერი წესისა და კანონის მიხედვით იქნება. საავტორო უფლებების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთის ფედერაცია მუსიკის ავტორებს ჰონორარს გადაუხდის, რომელსაც შემდეგ ჩვენი ასოციაცია მიიტანს ადრესატებამდე.

**გიორგი შოთაძე**

## ინფორმაცია

### დააკავეს ნარკორეალიზატორები

**„28 ივლისს, „სარფის“ ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქე მ.ა.-ის რისკის პროფილის საფუძველზე პირადი დათვალიერებისას, მათ 560 აბი Actifed იპოვეს. საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს“, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.**

* * *

**განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქე, 1986 წელს დაბადებული ნომახოსა პუმლა ვინიფრედ ნ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, საბაჟო პროცედურების გავლისას დააკავეს.**

**დადგინდა, რომ დაკავებულს ხელჩანთაში სპეციალური სამალავი ჰქონდა მოწყობილი, საიდანაც ქართველმა სამართალდამცველებმა 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული ნარკოტიკი გამომშრალი მარიხუანაა და მისი საერთო წონა 9 კილო და 700 გრამია. დაკავებული საქართველოში დოჰა-თბილისის რეისით ჩამოფრინდა.**

## ხსოვნა

# ლენა გურასაშვილი



კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესმა აკადემიურმა სასწავლებელმა უდიდესი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ბაკალავრიატის კურსდამთავრებული, 23 წლის ლენა გურასაშვილი, რომლის სიცოცხლე 2015 წლის 26 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა.

2015 წლის 21 ივლისს წარმატებით დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი — ფარმაცევტული საქონლის ხარისხის უზრუნველყოფა და მიენიჭა ფარმაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სამწუხაროდ, 5 დღეში შეწყდა მისი სიცოცხლე. სწავლის პერიოდში პარალელურად მუშაობდა აფთიაქ ბი-ფარმში.

ჩვენი საყვარელი და ლამაზი ლენა იყო წარჩინებული სტუდენტი, გამოირჩეოდა მოკრძალებით, კეთილშობილებით, თავმდაბლობით, გულისხმიერებით, სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებელთა პატივისცემითა და დიდი სიყვარულით.

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ასეთი ტკივილი არასოდეს ყუჩდება, რასაც საყვარელი ადამიანის გარდაცვალებით განიცდი. ამიტომ არის, რომ დრო ხშირად უძლურია ხსოვნის წინაშე, რადგან ხსოვნა მეორე სიცოცხლეა, კარგი ადამიანი სიკვდილთან ერთად არ კვდება, ის სიცოცხლეს ცოცხლებში აგრძელებს.

მსუბუქი იყოს ლენა გურასაშვილისთვის ქართული მიწა, ნათელში ამყოფოს სული მისი.

**კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი
აკადემიური სასწავლებლის რექტორატი**

## ლეგიონერი

# კანკავამ „რეიმსთან“ პირადი კონტრაქტი შეათანხმა

**საქართველოს ნაკრების კაპიტან ჯაბა კანკავას სამსახურით ფრანგული „რეიმსი“ რომ დაინტერესებული იყო, ადრეც ვწერდით. როგორც გამოცემა „ეკიპი“ იტყობინება, 29 წლის ქართველმა ფეხბურთელმა და ფრანგულმა გუნდმა პირადი კონტრაქტი უკვე შეათანხმეს და ახლა ტრანსფერის გასაჩარხად „დნიპროს“ დასტური აკლია.**

„რეიმსი“ ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციის გაძლიერებას კარგა ხანია ეშურება. აღსანიშნავია, რომ ჯაბა „დნიპროს“ ბოლო



მატჩში („ჩერნომორეცთან“) თადარიგში იმყოფებოდა და მირონ მარკევიჩმა მხოლოდ შეცვლაზე ათამაშა.

კანკავამ გასულ სეზონში უკრაინის ჩემპიონატში 15 მატჩი ჩაატარა, ხოლო ევროპა ლიგაზე ფინალში ითამაშა. რაც შეეხება „რეიმსს“, ამ გუნდმა ლიგა მე-15 ადგილზე დაასრულა.

**მანუჩარ გიორგაძე**

## ინტერნეტიდან

# თვალებკრიალა ლეტიცია ზულოაგა

**შუა საუკუნეებში ესპანეთის მეფის ტახტისთვის მთავრები უფრო ნაკლები მონდომებითა და გაბოროტებით იბრძოდნენ, ვიდრე დღეს ესპანელი ლამაზ-ლამაზი მოდელები მათი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების თილისმის სახელისა და ამ სახელის თანმდევი დიდების მოსახვეჭად იბრძვიან.**

ესპანეთის ნაკრების სახედ და სამშობლოს ცრემლით გულდათუთქულად სხვა მრავალთან ერთად ბოლო დროს ცნობილი ესპანელი მოდელი ლეტიცია ზულოაგაც დებს თავს და თუკი სადმე რაიმე სამართალი არსებობს, ამ რიწის ტბასავით თვალებკრიალა ქალს კი უნდა ჰქონდეს პირველობისათვის ბრძოლის უფლება.



ლეტიცია ზულოაგა თავის ხელობაშიც წარმატებული ქალია და მისი სამოსელშემოძარცვული სხეული ევროპის არაერთი ფერადი ჟურნალის გვერდებსა თუ ყდებზე უნახავთ, რაც ესოდენ კონკურენტულ გარემოში სულაც არაა ხელწამოსაკრავი მიღწევა. გარეგნობა კი ისეთი აქვს, საიათნოვა საფლავიდან იძახის — ამომიშვით, ამ ქალზე ლექსი უნდა დავწეროო...

**როსტომ რაჭველიშვილი**

## დეკორატიული ბიზნესი

# ბამბუკი — გამძლე, ლამაზი, მომგებიანი

**ბამბუკის ავეჯი და ნაკეთობა ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ და დეკორატიულ ნაწარმად მიიჩნევა. ამ ბიზნესით ძირითადად აჭარაში მცირე მეწარმეები არიან დაკავებული.**

**თუმცა, ფინანსების სიმცირის გამო, მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით ამ ბიზნესის გაფართოებას ვერ ახერხებენ.**



ქობულეთელი ელგუჯა გოგმაჩაძე თითქმის უკვე ათი წელია, ბამბუკის ბიზნესითაა დაკავებული. იგი ძირითადად ბამბუკის ექსპორტზე მუშაობს. მას უკრაინაში და ბელორუსში გააქვს ბამბუკი. 2008 წლის ომამდე კი ბამბუკი რუსეთშიც გაჰქონდა.

„მოგებით კმაყოფილი ვიყავი, თუმცა, ეს ბიზნესი სტაბილური არაა. ამჯერად უკრაინაში პოლიტიკური სიტუაცია გვიშლის ხელს. თუმცა, სექტემბრისთვის განვაახლებ მუშაობას უკრაინასთან, ველოდები პასუხებს, ხელშეკრულება თითქმის მზად გვაქვს. ალბათ, მას მალე გავაფორმებთ ერთ-ერთ უკრაინულ კომპანიასთან. ბელორუსს რაც შეეხება, იქ ტრანსპორტირება და განბაჟება შედარებით ძვირი ჯდება. ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნებში ვაპირებ ბამბუკის გატანას“, — ამბობს ელგუჯა გოგმაჩაძე.

მისივე თქმით, იგი სხვადასხვა სახის ბამბუკის ექსპორტს აწარმოებს, მათ შორისაა როგორც დამუშავებული, ასევე დაუმუშავებელი ბამბუკი. ელგუჯა გოგმაჩაძე, ისევე როგორც ამ ბიზნესით დაკავებული სხვა მეწარმეები, ბამბუკს ადგილობრივი მოსახლეობისგან, ძირითადად ქობულეთელი, ოზურგეთელი, ზუგდიდელი, ხობელი და ხელვაჩაურელი ფერმერებისგან იბარებს.

ბათუმელი თემურ ურუშაძეც ბამბუკის ბიზნესითაა დაკავებული. იგი კომპანია „ლუკაჩოს“ მფლობელია და უკვე ათ წელზე მეტია, ადგილობრივებისგან ყიდულობს ბამბუკს. თუმცა, ელგუჯა გოგმაჩაძისგან განსხვავებით, იგი ბამბუკის ავეჯის დამზადებაზეც მუშაობს.

„ვაწარმოებთ ბამბუკის ავეჯს, ფანჩატურებს, სხვადასხვა ნივთებს, რომლებზეც მოთხოვნა ნამდვილად არის. პროდუქცია თურქეთში გამაქვს, გამოხარშული, თერმულად დამუშავებული ბამბუკი და მისგან დამზადებული ნაკეთობები. წელს უკვე მეორედ გამაქვს საექსპორტო პროდუქცია. იქ ბამბუკის პლანტაციები არა აქვთ. რამდენიმე წლის წინათ „დისნეი-ლენდის“ მსგავსი პარკი გააკეთეს სტამბოლში, მაშინ ძალიან დიდი რაოდენობის ბამბუკის სკამები და ფანჩატურები ჩვენ დავუმზადეთ. ახლა ვმუშაობ, რომ ესპანეთშიც გავიტანო ჩვენი ნაწარმი“, — ამბობს თემურ ურუშაძე.

ბამბუკი დასავლეთ საქართველოში მოჰყავთ. მას განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება. ბამბუკის პლანტაციის სიცოცხლისუნარიანობის საშუალო ასაკი დაახლოებით 60 წელია. კარგი მოვლის შემთხვევაში კი მისი სიცოცხლისუნარიანობა შეუზღუდავია.

ბამბუკი საქართველოში 1895 წელს ჩინეთიდან შემოიტანეს. იგი ევროპის ბაზარზე ერთ-ერთი ძვირად ღირებული პროდუქტია. ბამბუკით ავეჯის გარდა, საკვები პროდუქტებიც მზადდება, მაგალითად, მისი ყლორტისგან ჩინეთში მარინადს ამზადებენ. ასევე მზადდება ჟალუზები და პარკეტი, რომელთა ხარისხი და გამძლეობა განსაკუთრებით მაღალია. ბოლო პერიოდში ბამბუკისგან ძაფსაც ამზადებენ, მისი ქსოვილისგან კი ეკოლოგიურად სუფთა ტანსაცმელი მზადდება. თუმცა, საქართველოში შესაბამისი ტექნოლოგიები არ არსებობს. ფერმერებისა და მეწარმეების დაკვირვებით, საქართველოს ბამბუკის წარმოების დიდი პოტენციალი აქვს.

„ბამბუკი იმით არის საინტერესო, რომ მას შეუძლია ხის მასალა ჩაანაცვლოს. ბამბუკისგან ისეთი რაღაც შეიძლება მიიღო, რასაც ხისგან ვერ მიიღებ. მაგალითად, მისგან შესაძლებელია გამძლე პარკეტი დაამზადო. ჩვენ ვმუშაობდით ამაზე და დიდი იყო დაინტერესება. ასაწყობი სახლებიც კი გავაკეთეთ ბამბუკისგან. ეს ინოვაცია იყო. ჩინეთში კი მაგალითად, სადაც ბამბუკის წარმოება განვითარებულია, ყველა საწარმო ერთი და იგივე პროდუქციას აწარმოებს, მათ არა აქვთ ინოვაციური ნიუანსები“, — ამბობს ფიზიკოსი სერგო ჯაყელი, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ ბამბუკის საწარმო ჰქონდა, თუმცა, მიხეილ სააკაშვილის მთავრობის დროს იგი დააკავეს, რის შემდეგაც მისმა კომპანიამ მუშაობა შეწყვიტა.



ბამბუკი ძირითადად ჩინეთში, შრი-ლანკაში, იაპონიასა და სამხრეთ ამერიკაში მოდის. ევროპაში ბამბუკის პლანტაციები არაა. ამიტომაც ევროპის ბაზარზე ქართული ბამბუკის პოტენციალი დიდია. თუმცა, სერგო ჯაყელის თქმით, ადგილობრივ მეწარმეებს სამთავრობო პროგრამების ხელშეწყობა სჭირდებათ იმისათვის, რომ ბამბუკი და მისი ნაწარმი ევროპის ბაზარზე გავიდეს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წელს, საწნავად გამოსაყენებელი ბამბუკის ექსპორტმა 65,9 ათასი დოლარი შეადგინა. 2013 წელს ბამბუკის დასაჯდომი ავეჯის ექსპორტის შედეგად მიღებული თანხა კი მხოლოდ 2,9 ათასი დოლარი იყო.

**თამთა ჯიჯავაძე**

ლექსი — იერიშზე!

**იუზა ჩაკვეტაძე**

# ვილოცოთ საქართველოზე!



I

გულში იმედი მინთია,
ჯანღი ელამ თვალს აცეცებს,
რწმენა ცხოვრების ბირთვია,
თავს ვაღწევ შურის საცეცებს.

რამდენი ხანი გასულა,
არ შევხვედრივართ მე და შენ,
კვლავ შეგვახსენა წარსულმა, —
შვილს დავუტოვოთ ზედაშე.

რა გამომილევს საფიქრალს,
მახსოვს წინაპრის ამაგი,
მალე ჭაღარა დამფიფქავს
და მეც გავხდები ჭარმაგი.

სიცრუის ყულფებს ნასკვავენ,
ვერ აშინებენ ვაჟკაცებს,
ჯანღი ვერ ბინდავს ვარსკვლავებს,
ყველა ერთ ფერად კაშკაშებს.

სინდის და ნამუს გათელილს,
ჯოჯოხეთი არ ასცდება,
ავანთოთ წმინდა სანთლები,
მამულს მივხედოთ კაცებმა.

იერზე ვატყობ მკვეხარას,
როგორი სიტყვის კაცია!
მთვარემ წარბი არ შეჰხარა,
ცას ვარსკვლავებს ვერ აცლიან.

ხინჯი ვერავინ უპოვნა,
მეფე დავითს და დადიანს...
კვლავ დავამშვიდებ უპოვარს,
პურს მივაწოდებ მადლია.

მერანს ვაჭენებ დაოთხილს,
დავიცავ მამულს, მთებს, ველებს,
კარს გაუღებენ სამოთხის,
ქვეყნად სიკეთის მთესველებს.

აქოჩრილ ტალღას არაგვზე,
გზა დაულოცეს ფიქრებმა,
სანამ სამყაროს მართავს მზე,
ცაზე ნათელი იქნება.

დღემ გაახარა მზიანმა,
ზამთარი სძლია ვენახმა,
ვინაც მრუდე გზით იარა,
სამოთხის კარი ვერ ნახა.

ღვთისმშობლის ხატთან მლოცველმა,
შეაღო ზეცის კარიბჭე,
ნათელმა ბნელი მოცელა,
მომავლის იმედს გვანიჭებს.

II

მახე დაუგო ღამემ დღეს,
ვერ შესძლო ნათელს გაჰყაროს,
ვნატრობ ქართველი გაბევრდეს,
მოიცვას მთელი სამყარო.

ხევებში დნება ნამქერი,
ნისლმა ტევრებში იღოლა,
კვლავ გაიმარჯვებს ნაქები,
ჯირითში ჩემი იორღა.

ღმერთმა ისმინა ვედრება,
ვერავინ შეძლებს აგვრიოს,
ღამე გაბაცდა, თენდება,
შევეგებები ალიონს.

ჭიდილი იწყეს აზრებმა,
აისის ნახვა მეამა,
ია იშლება, ნაზდება,
სიტურფე უქო ნიავმა.

მამულს ლოცავენ ზეციდან,
გმირთა სულები მარაბდის,
მტრობის მსურველებს შესცივდათ,
ასე იქნება მარადის!

საოცნებოა ცა სულის,
მირონი მამულს მონამავს,
არდავიწყება წარსულის,
ბურჯად უდგება მომავალს.

მიწამ გაათბო ფესვები,
ვაზმა კვირტები დაისხა,
ხატს მოწიწებით ვეხები,
მამშვიდებს დედო ზარის ხმა.

მწვანედ ლივლივებს მინდორი,
ქარიშხალს სძლია თეთნულდმა,
მტერს რომ ვუხსენე დიდგორი,
ფერი დაკარგა, შეცბუნდა.

პაპამ სამჭედლო გამართა,
ხმალი არ უნდა დაჟანგდეს,
მზე ვერ დაღალა აღმართმა,
ცისარტყელა რთავს ლაჟვარდებს.

ვნახავ არაგვის სათავეს,
მივესალმები მყინვარწვერს,
ცას მნათობები ნათლავენ,
მართალი მიზანს მიაღწევს.

მერანს მივუშვი სადავე,
მზე იებს ქარგავს მდელოზე,
ედემის ბაღნარს ვადარებ,
ვილოცოთ საქართველოზე.

ყველამ გაიგოს, იცოდეს,
არავის მოვთხოვთ სამადლოს,
ქართველნი დავთმობთ სიცოცხლეს,
თავისუფლებას - არასდროს.

P. S.
**ღმერთო, მიეც ნატვრის ბედი,**
**მამული მსურს გავამთელო,**
**გადმოვედი ალავერდი,**
**მიდღეგრძელეთ საქართველო.**

სულიერება

# დიდმოწამე მარინე



**30 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს დიდმოწამე მარინეს.**

...წმინდა მარინე ანტიოქიაში დაიბადა. 15 წლის მარინე ძალიან ლამაზი გოგონა იყო. წარმართ ოჯახში დაბადებული ქრისტიანი მარინე მამამ სახლიდან გააგდო. ერთხელ ის ცხვრებს მწყემსავდა. იმ ოლქის მმართველმა გზად გაიარა, გოგონას სილამაზით მოიხიბლა და ხელი სთხოვა... მარინემ არ დამალა, რომ ქრისტიანი იყო. მაშინ მმართველმა იგი ერთ დიდებულ ქალს გადასცა იმ იმედით, რომ გოგონას ქრისტეს უარყოფაში დაარწმუნებდა. მაგრამ მარინემ უარი თქვა ამაზე და კერპებს მსხვერპლი არ შესწირა.

მაშინ მარინე სხვანაირად ტანჯეს, ხალხი სიბრალულით ტიროდა. ღმრთის მადლმა გოგონა ჭრილობათაგან განკურნა, მაგრამ მტანჯველნი ამით გონს ვერ მოიყვანა. ამ დროს მარინეს ხელებიდან ბორკილები დასცვივდა, ხოლო მის თავზე არაჩვეულებრივი ნათელი გაბრწყინდა, რომელშიც მტრედი ტრიალებდა, ნისკარტში ოქროს გვირგვინით. განცვიფრებული ხალხი ღმერთს ადიდებდა...

ყველა მარინეს მოსახელეთ ვულოცავთ დღევანდელ დღეს.

**გიული ლიპარტია**

**იყიდება**

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-საობაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

**რეკლამა**

**29 3-37-87;**
**568 82-09-84.**

**მაჩაბლის ქ. №7.**

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში", თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ცინცხალი ანეკდოტები

— **გუშინ** ისეთი თამამი ვიყავი! — ეუბნება ერთი ტიპი მეორეს, — შევედი დირექტორის კაბინეტში და მის მაგიდაზე სულ მუშტები ვაბრახუნე.
— მერე რა მოხდა?
— ძალიან დროულად გავაკეთე ეს, რადგან იგი ხვალ მივლინებიდან ბრუნდება.

* * *

— **მე** გაფრთხილებ, იქ შეიძლება გოგო ძალიან უბრალოდ გაძარცვონ და გააუპატიურონ!
— საშინელებაა!
— ან, უბრალოდ გაძარცვონ.
— ეს მთლად უარესია!



* * *

— **შენთან** საუბარი ომისდროინდელი ნაღმის გაუვნებელყოფაა — არავინ არ იცის, როდის და რა მიზეზით შეიძლება აფეთქდეს იგი.
— ესე იგი, მე დედაბერი ვარ?!

* * *

— **შენი** სიზარმაცე დაგღუპავს!
— ძალიან გთხოვ, მომშორდი, ჩემი სიზარმაცე იმდენად ზარმაცია, რომ მას უბრალოდ შეეზარება, რაიმე დამიშავოს.

* * *

**ის** ქალი მოგწონს? მაშინ დაიხსომე: როდესაც მის ხელს მოიხელთებ, ამ ხელს მუდამ იგრძნობ შენს ჯიბეში...

* * *

— **ახლა** კიდევ რაში ჩაეფალი?
— ყველაფერი ჩამოგითვალო?

* * *

— **პატიოსნად** მითხარი, რას გრძნობ ჩემ მიმართ?
— თმენას... დიდ თმენას...

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ძოწულია
293-37-87;
599 36-00-35

რედაქტორთა საბჭო:
ალეკო ასლანიშვილი 599 56-81-86;
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24